



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## თეიმურაზ თუთბერიძე

არასრულწლოვანთა განრიდების პროცესუალური ასპექტები  
სისხლის სამართლის პროცესში

( ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად )

ხელმძღვანელი, სამართლის პროფესორი:  
**ჭელიძე სერგო**

თბილისი  
2018 წელი

## ანოტაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო, ფაქტობრივად, ახლა ყალიბდება და დიდი ხანი არც არის, რაც ქართული მართლმსაჯულების სივრცეში ფეხს იკიდებს. შეიძლება დადებითად შეფასდეს, თუმცა დიდ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. განსაკუთრებით, დასახვეწია ცალკეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც პრაქტიკას არ მისცემს ორაზროვანი და არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას, ასევე ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის უფრო მეტი პროდუქტიულობა და ეს ყველაფერი განმტკიცებული უნდა იქნეს კანონმდებლობით. დაზარალებულის უფრო მეტად ჩართულობა არასრულწლოვნის განრიდების პროცესში, პროკურორის დისკრეციის გადახედვა არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების დროს, თუმცა დასკვნის სახით შეუძლებელია არ აღინიშნოს, ამ სფეროში არსებულ საკმაოდ დიდ და საინტერესო მიღწევებზე, რომლებიც ძალიან მოკლე დროში იქნა მიღწეული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მუდმივი ინტერესი არსებობს თავად პიროვნების არასრულწლოვნობის გამო, რადგან არასრულწლოვანი შედარებით მსუბუქად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე სრულწლოვანი.

## Annotation

The juvenile justice system is a novation in Georgian legislation and practically, it's being formed now. It could be considered as a step forward, however, there still are the issues that need to be solved and improved. Particularly, legislative norms that leads to ambiguity and vagueness understanding in practice, as well as productivity of psychologists and social workers, require improvement; victim's better involvement in juvenile diversion, also revision of the prosecutor's discretionary powers while using juvenile diversion and all these abovementioned issues must be regulated by legislation.

As a conclusion, we must also emphasize many interesting achievements that have been accomplished in a limited time.

The interest towards the juvenile justice always subsists by virtue of the juvenile age, due to the assumption that juvenile should be punished in a more lenient way, than adult.

# სარჩევი

შესავალი .....	4
<b>თავი 1 . განრიდების არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში</b>	
§ 1 განრიდების, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის/სასჯელის ალტერნატიული მექანიზმის არსი .....	6
§ 2 პროკურორი განრიდების პროცესში.....	15
<b>თავი 2. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების თავისებურებები</b>	
§ 1 არასრულწლოვანთა განრიდების საფუძვლები.....	22
§ 2 არასრულწლოვანთა განრიდების პრინციპები.....	43
<b>თავი 3. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულაციები</b>	
§ 1 განრიდების პროცესში ჩართული სუბიექტები.....	48
§ 2 განრიდების ხელშეკრულება.....	63
დასკვნა .....	66
გამოყენებული ლიტერატურა .....	68
შემოკლებული აბრევიატურა .....	73

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან 2004 წლამდე საქართველოში მძიმე კრიმინოლოგიური გარემო იყო. სოციალური და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე მომატებული იყო თითქმის ყველა სახის დანაშაული, რომელშიც ჩართული იყვნენ ყველა კატეგორიის, სქესისა და ასაკის მოქალაქეები. დანაშაულებრიობის აღსაკვეთად 2004 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან გატარებული იქნა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. წლების შემდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ამოწურა თავისი მისია.

ნულოვანი ტოლერანტობის წარმატებით გატარების შემდეგ, სახელმწიფო გადავიდა კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ეტაპზე და დავის გადაწყვეტის ტრადიციული იურიდიული მეთოდებისგან განსხვავებული ალტერნატიული სახეები დანერგა. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენს „არასრულწლოვანის მიმართ განრიდების გამოყენების პროგრამა“.

განრიდების პროგრამის დაფუძნებამდე სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში სულ უფრო მეტი არასრულწლოვანი ხვდებოდა და მათ მიმართ გამოიყენებოდა საპატიმრო ზომები. არ არსებობდა ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პატიმრობაში მოთავსებას მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით. აგრეთვე, არ არსებობდა პროგრამა, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნისა და პატიმრობის ალტერნატივას წარმოადგენდა.

არასრულწლოვანის განრიდების პროგრამაში ჩართვა, დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თავლსაზრისით. იმდენად, რამდენადაც უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომლითაც მოხდება ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი ზომით ჩანაცვლება, რომელიც არც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას დაემუქრება და მაქსიმალურად მოხდება მისი რესოციალიზაცია.

**კვლევის მიზანი.** სამაგისტრო ნაშრომის მიზანია არასრულწლოვანთა განრიდების პროცესულურ ასპექტებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. კვლევის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს არასრულწლოვანის მიმართ განრიდების გამოყენების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება, რის გამოც მიმოხილული იქნება საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები.

**მეთოდოლოგია.** კვლევა ეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ, ფორმალურ-ლოგიკურ, ანალიტიკურ, სისტემურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. კვლევის საფუძველზე მოხდება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიის და 4 თავისაგან.

1 თავში განხილულია განრიდების არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში.

2 თავში საუბარია განრიდების გამოყენების პროცესულური ასპექტებზე.

3 თავში შეფასებული იქნება არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების თავისებურებები. კერძოდ, რა შემთხვევებში უნდა იქნეს იგი გამოყენებული, რის საფუძველზე და ა.შ.

4 თავში გაანალიზებული იქნება არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა.

## თავი 1. განრიდების არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში

### 1.1 განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის/სასჯელის ალტერნატიული მექანიზმის არსი

გასული საუკუნის 70-იან წლებიდან თითქმის ყველა სახის დანაშაულის მატებას მოჰყვა სახელმწიფოების მხრიდან სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება. სახელმწიფოთა უმრავლესობა ჩაება “ნულოვანი ტოლერანტობის” მორევში და სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრებით დაიწყო ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ. სახელმწიფოების მხრიდან განსაკუთრებული მძაფრი ბრძოლა გამოეცხადა კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულებს და წვრილმან დანაშაულებსაც. ნულოვანი ტოლერანტობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ის, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი შემცირდა. სახელმწიფო თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულეზად ნულოვან ტოლერანტობას ირჩევს, სასჯელს უფარდებს არა ინდივიდუალურად ბრალეული ქმედების პარალელურად, არამედ დანაშაულის სახეობის მიხედვით<sup>1</sup>. XXI – ე საუკუნეში განსხვავებით გასული საუკუნისა შესაძლებელია იმის თქმა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა დამნაშავეთა მიმართ შედარებით ტოლერტულია.

ნულოვანი ტოლერანტობის მაგალითები საქართველოშიც გვექონდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ, „ნულოვანი ტოლერანტობა - ყველა ციხეში“ ეს ფრაზა ვრცელდებოდა წვრილმან დანაშაულებებზე, რომელმაც დღეს შეიძლება პენიტენციალურ დაწესებულებაში პატიმრობის გარეშე ჩაიაროს, რაც სწორად ითვლება, ჩეზარე ბეკარიას სიტყვებით რომ ვთქვათ „დამნაშავე არ უნდა დავიყვანოთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულამდე“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Hungerford-Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998. S. 23;

<sup>2</sup> On Crimes and Punishments, Cesare Beccaria, 2013, S. 7;

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის საქართველოს მიმართ შედგენილ 2011 წლის 11 ივლისის დასკვნაში გაკრიტიკებულ იქნა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და რეკომენდაცია მიეცა სახელმწიფოს, შეცვალოს პატიმრობის შეფარდების სისტემურობა და დაუსაბუთებლობა. იგი ურჩევს ხელისუფლებას, გადაიხედოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები და შემუშავდეს უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც უფრო გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების პრინციპებს დაეყრდნობა, ნაცვლად დასჯაზე ორიენტირებულისა. ნულოვანი ტოლერანტობის შემდგომ აუცილებელი გახდა შედარებით ღმობიერი რეფორმები გატარებულიყო სისხლის სამართლის პოლიტიკაში<sup>3</sup>.

დღეს საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ შედარებით მსუბუქ დანაშაულებებზე ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნა მისაღები არ არის, განსაკუთრებით ეს ეხება არასრულწლოვან ბრალდებულებს, ამიტომ შესაძლებელია მათი საუკეთესო, საზოგადოების უსაფრთხოების და მართლმსაჯულების აღდგენის ინტერესების შესაბამისი ალტერნატიული სასჯელის შეფარდება<sup>4</sup>.

ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ განრიდება და მედიაცია ერთად იქნა შემოღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ეს ორი ინსტიტუტი წარმოადგენს სასჯელის ალტერნატიულ ფორმას, მედიაციის ინსტიტუტი ასევე გამოიყენება სამოქალაქო სამართალში და ის არის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება<sup>5</sup>. მედიაციის ინსტიტუტი, როგორც განრიდება გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადაც დავის მაგივრად სასჯელია და სწორედ განრიდება და მედიაცია სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებებია.

2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ პროკურორს მიანიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ამ უკანასკნელის განხორციელების უფლებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს, პროკურორი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე

<sup>3</sup> ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია, თბილისი, 2017, გვ:29;

<sup>4</sup> მართლმსაჯულება და კანონი #4(52), რედ: ნინო ძიძიგური, გვ.108;

<sup>5</sup> მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, რედ. გ. ცერცვაძე, თბილისი, 2013;

იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ხოლო მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში წყვეტს მას<sup>6</sup>.

პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას ან არ დაწყებისას სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, კერძოდ ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოხსენიებულია, როგორც დისკრეციული დევნა<sup>7</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები, რომლებიც პროკურორს დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების ჩამონათვალს არ იძლევა, სსსკ-ის 16-ე მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს ექსკლუზიური დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით. იმავე კოდექსის 105-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დაწესებული პროკურორმა დანაშაულის რომელ კატეგორიაზე შეიძლება გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისად პროკურორს შეუძლია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე გამოიყენოს<sup>8</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჯარო ინტერესს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ქართული საჯარო ინტერესი შეგვიძლია შევადაროთ საფრანგეთში მოქმედ საჯარო სარჩელს, რომელსაც მხოლოდ პროკურორი იყენებს. საფრანგეთში საჯარო სარჩელი განიმარტება, როგორც საზოგადოების უფლებად, რომელიც მისი წარმომადგენლის,

---

<sup>6</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზურიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.478;

<sup>7</sup> იხ.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი;

<sup>8</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზურიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.479;

პროკურორის მეშვეობით მიმართავს სასამართლოს, რადგან სასამართლომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენოს სასჯელი<sup>9</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup> მუხლი მიუთითებს განრიდების ინსტიტუტზე, კერძოდ ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:

- ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;
- ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;
- დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;
- ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;
- ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

განრიდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიება, რომლის დროსაც პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან დაწყებული შეწყვიტოს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე<sup>10</sup>.

ზემოთ ნახსენები ნორმა მიუთითებს იმ შესასრულებლად სავალდებულო ქმედებებზე, ერთის ან რამდენიმეს შესრულების შემთხვევაში პროკურორი არ

<sup>9</sup> გუცენკო. ფ.კ, გოლოვკო ლ.ვ, ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.409;

<sup>10</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.488;

დაიწყებს ან შეწყვეტს დევნას, საგულისხმოა ზემოთ ხსენებული ჩამონათვალი, რომელთაგან ერთი ან რამდენიმე უნდა შეასრულოს განრიდების სუბიექტმა, მისი ეს ვალდებულება გარკვეული სახის მექანიზმია მართლმსაჯულების აღსრულებისა, რაც შეესაბამება სამართლიანობას და შეესაბამება პირის მსუბუქად დასჯის მეთოდს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე - 3 მუხლის მეშვიდე ნაწილი განმარტავს განრიდებას, კერძოდ „განრიდება – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება”, განრიდება, ერთ-ერთი იმ ინსტიტუტთაგან, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შევიდა, არასრულწლოვანთა განრიდება არის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ფორმა, რომელიც ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, მისი სამართალშეგნებულ ადამიანად განვითარებას, ასევე ნორმა მიუთითებს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, პრევენცია, რომელიც განრიდებით შეიძლება მოხდეს, ბოლო დროინდელმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ განრიდებული მოზარდები მაინც სჩადიან დანაშაულს, თუმცა ეს არ არის დიდი დოზით, განრიდებული სუბიექტების 9%.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში არ გამოიყენება განრიდების ინსტიტუტი, კერძოდ განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებზე:

- 143<sup>1</sup> (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი));
- 143<sup>2</sup> (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი));
- 143<sup>3</sup> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის); მომსახურებით სარგებლობა
- 144, (მძევლად ხელში ჩაგდება);
- 144<sup>1</sup> (წამება);
- 144<sup>2</sup> (წამების მუქარა);
- 144<sup>3</sup> (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა)<sup>11</sup>;

---

<sup>11</sup> დაწვ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

აღნიშნული დანაშაულებების ჩამონათვალია მოცემული საპროცესო კოდექსში, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა იმის დანაწესს, თუ რატომ მოხდა ეს დანაშაულებები განრიდების არ გამოყენების სიაში, თუმცა შესაძლებელია ვარაუდი, რომ მსგავსი დანაშაულები როგორც შიდა ისე საერთაშორისო მასშტაბით განსაკუთრებული მომეტებული საფრთხისა და განსაკუთრებული სისასტიკით ხასიათდება, ამიტომ შესაძლებელია ამ მიზეზით არ ხდება განრიდების გამოყენება ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ არამარტო ზემოთ მოხსენიებულ დანაშაულებებზე, არამედ სხვა ისეთ დანაშაულებებზეც არ ვრცელდება განრიდება, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.

განრიდების გამოყენებას ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების გარდა ასევე კრძალავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, კერძოდ, კორუფციულ დანაშაულებებზე, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულზე, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, იარაღის ან საშიში ძალადობით ჩადენილ დანაშაულებებზე, საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიმართ, სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებებზე და ა.შ.<sup>12</sup> იმისდამიუხედავად, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაული წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ზოგადი წესის მიხედვით განრიდება დაუშვებელია, თუმცა თუ ზემოთ მოცემული დანაშაულთაგან რომელიმე არის ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული მისი ჩამდენი პირის მიმართაც განრიდება ასევე დაუშვებელია<sup>13</sup>.

ზემოთ მოცემული ნორმის მესამე ნაწილის თანახმად „თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა“. ნორმის მიერ ნახსენებ პირობებში იგულისხმება ზემოთ მოცემული პირობები, კერძოდ: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების

<sup>12</sup> დაწვ. იუსტიციის მინისტრის №181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“;

<sup>13</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.488;

ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე; ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

აღნიშნული ნორმა მიუთითებს იმაზე, როცა პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების პროცესის შეწყვეტის თაობაზე, მან უნდა გამოიტანოს დადგენილება განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ და შემდგომ დადგენილება უნდა გამოიტანოს პირის ბრალდების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ სისხლისამართლებრივი დევნა არ იყო დაწყებული, თუ სისხლისამართლებრივი დევნა დაწყებული იყო, ამ შემთხვევაში პროკურორმა დადგენილება უნდა გამოიტანოს სისხლისამართლებრივი დევნის განახლების შესახებ<sup>14</sup>.

სსსკ-ის 168<sup>2</sup> მუხლი მიმოიხილავს განრიდების გამოყენების წესს, კერძოდ ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით. მასში მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება“, კანონი იმპერატიულ დათქმას იძლევა იმის თაობაზე, რომ განრიდება ხელშეკრულების ფორმას ატარებს, თუმცა კერძო სამართლისგან განსხვავებით, სადაც ზოგიერთი ხელშეკრულება შეიძლება ზეპირადაც დაიდოს, განრიდების შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი ფორმა, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მოცემული პირობები(ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შესრულება), შესრულების დრო (რა დროში უნდა შესრულდეს, როდის უნდა შესრულდეს), ასევე ადგილი(სად უნდა შესრულდეს) და საშუალება (როგორ უნდა შესრულდეს).

ზემოთ მოცემული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება, რომ განრიდების პირობების შესრულება

<sup>14</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.488;

ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით", კანონი აუცილებელს ხდის, რომ განრიდების სუბიექტს განრიდების პირობების შესრულების შესაძლებლობა ნებაყოფლობით უნდა მიეცეს და არანაირ ძალადობას ან მუქარას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ასევე ნორმა მიუთითებს, რომ განრიდების სუბიექტს ბრალდებულის ყველა უფლებით სარგებლობს, საუბარია დუმულის, ადვოკატის ყოლის, სამედიცინო შემოწმების და ა.შ.<sup>15</sup>

ზემოთ მოცემული მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით „განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“, იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულის უფლებები 2009 წლამდე არსებულ კოდექსთან შედარებით დღევანდელ კოდექსში გაცილებით შემცირებულია არაფერია გასაკვირი იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურორი მხოლოდ კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუმცა ვფიქრობ, რომ როცა პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, დაზარალებულის როლი მხოლოდ კონსულტაციით არ უნდა შემოიფარგლოს, გასაგებია, რომ დაზარალებული არ არის მხარე სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ ის ბრალდებულზე არანაკლები ფიგურაა სისხლის სამართლის წარმოების დროს, რაც უნდა აძლევდეს დაზარალებულს უფლებას უფრო მეტი უფლებით ისარგებლოს, მითუმეტეს, თუ პროკურორი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ისეთ ალტერნატიულ ღონისძიებას იყენებს, როგორც განრიდება.

ზემოთ მოცემული ნორმის მუხლის მეოთხე ნაწილი მიუთითებს „განრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. განრიდება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგ, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას“. აღსანიშნავია განრიდების ინსტიტუტის

---

<sup>15</sup> დაწვ.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი;

ეფექტიანობა, კერძოდ მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე<sup>16</sup>.

ზემოთ მოცემული მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით „განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა“, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით, იმ შემთხვევაში თუ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს ყველაზე მკაცრი ღონისძიება, პატიმრობა მის მიმართ არ გამოიყენება განრიდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს.

განრიდების და მედიაციის ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნასამართლევ, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა.

---

<sup>16</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.488;

## 1.2 პროკურორი განრიდების პროცესში

განრიდების ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია პროკურორი. დღევანდელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად საკამოდ დიდ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალური მიმართულებით. შესაბამისად, სახელმწიფოები და საზოგადოება ეძებს ახალ გზებს და უარს ამბობს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე<sup>17</sup>. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალწარმოება, სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება პროცესის ორი მონაწილის ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, სადაც ჩართულია მედიატორი. აღნიშნული შედეგით საქმის დასრულება დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და მას კანონი არ ავალდებულებს რა საფუძვლებით რა მიზნებით მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილების<sup>18</sup>. პროკურორის ასეთი მიდგომით დისკრეციული უფლებამოსილების უკან სუბიექტივიზმის ეჭვი ჩნდება, ირღვევა თუ არა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული პრინციპები, რისთვისაც აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს, თუ რა სახის კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციაზე, რადგან საქართველო ჯერ არ არის ისეთი დემოკრატიული პრინციპების მატარებელი ქვეყანა, სადაც ძირითადი სამართლებრივი ნორმების დაცვა ზოგ შემთხვევაში მაღალი თანამდებობის პირების მიერაც ხდება ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის შესაძლებელია პროკურორებისგანაც, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულთან

<sup>17</sup> ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, გვ.123;

<sup>18</sup> იქვე. გვ.124;

მიმართებაში, მისი როლის დაკნინების და შემცირების გამო მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება პროკურორი განრიდების დროს.

„სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.“ მოცემული ნორმა 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზეა ორიენტირებული. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორს აქვს შეუზღუდავი დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების საკითხის გადაწყვეტისას. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს, რომ პროკურორი უფლებამოსილია გააკეთოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას შორის<sup>19</sup>. პროკურორს კანონი არჩევანის გაკეთების უფლებას ანიჭებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებენ პირის ბრალეულობაზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ინტერესიდან და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე მისი უარი საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება საქალაქო/რაიონულ სასამართლოში ერთჯერადად, ისიც მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის დროს, მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე კი განრიდების გამოყენების შესაძლებლობა დღევანდელი კანონმდებლობით შეუძლებელია, ე.ი დაზარალებულს არ შეუძლია განრიდების გამოყენებით პირის პასუხისმგებლობის არ დაკისრების დროს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

---

<sup>19</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 16;

ქართული მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურისათვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია პროკურორისათვის გარკვეული ზომით, თუმცა არა უზუმოდ დიდი, დისკრეციის მინიჭება. იმ შემთხვევაში თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. ქართული კანონმდებლობით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და არა ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება<sup>20</sup>. პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების არჩევანი განვითარებულ ქვეყნებს უკვე გაკეთებული აქვთ, თუმცა საკითხავია პროკურორის დისკრეციის ასეთი სახე არის თუ არა მისაღები ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

საინტერესოა ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება პროკურატურა რის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია არის სისხლის სამართლებრივი დევნა, მიზანშეწონილობის თუ კანონიერების პრინციპით<sup>21</sup>, ანუ პროკურორი სისხლის სამართლის დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მტკიცებულებების გარდა ითვალისწინებს თუ არა სხვა ფაქტორებსაც.

პროკურორებს სრული თავისუფლება ეძლევათ დევნის განხორციელების სფეროში. მათ უფლება აქვთ საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტონ, საჭიროა თუ არა დევნის დაწყება კონკრეტული საქმის მასალების საფუძველზე ე.ი. ამ გადაწყვეტილების მიღება პროკურორის დისკრეციულ შეხედულებაზეა დამოკიდებული. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი, სადაც „კანონიერების პრინციპს“ მისდევენ, სრულიად იგნორირებულია საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორი და პროკურორი ვალდებულია დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ არსებული

---

<sup>20</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, (მეორე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2011, გვ.3;

<sup>21</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომიების სტადიაზე), თბილისი, 2014, გვ.170;

მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა პირის ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარე საქმეს სასამართლოს გადასცემს.<sup>22</sup>

აშშ-ს აქვს მაღალი დანაშაულის მაჩვენებელი განსაკუთრებით მკვლევლობებისთვის არასრულწლოვანთა მიერ სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ქონებრივი დანაშაულები, განსაკუთრებით ყაჩაღობა და ძარცვა უფრო მაღალი დოზით არის სრულწლოვნებში, აშშ-ში 13-17 წლის მოზარდების მიერ ხშირია ძალადობრივი დანაშაულის გამო დაკავების ფაქტები (მკვლევლობა, თავდასხმა, ძარცვა და გაუპატიურება)<sup>23</sup>.

ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტობრივად, ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონი ერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. დღეს დღეობით, ექსპერტების გათვლით, ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება.<sup>24</sup>

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას სასამართლოში (საგამომიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღძვრაზე) უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ<sup>25</sup>.

გერმანიაში, კანონის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე

---

<sup>22</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომიების სტადიაზე), თბილისი, 2014, გვ.175;

<sup>23</sup> Institute of Medicine and National Research Council. 2001. Juvenile Crime, Juvenile Justice. Washington, DC: The National Academies Press. s.17;

<sup>24</sup> გუცენკო. ფ.კ, გოლოვკო ლ.ვ, ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.85;

<sup>25</sup> იქვე. გვ.411;

დანაშაულს, რომლის მიმართ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, ამასთან თუ ერთი და იგივე დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისთვის დაწესებული სასჯელი უმნიშვნელოა. ამ შემთხვევებში, საქმე უპირობოდ წყდება. სხვა შემთხვევებში – ხდება პირობითი სასჯელის დაწესება, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან მედიაციის დანიშვნა. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, მოსამართლის თანხმობა აუცილებელია. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორი ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატოვოს ყოველი ეჭვი დანაშაულის შესახებ და ამ მიზნით იგი ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას, განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში, ოღონდ ვალდებულია საკუთარი პოზიცია წერილობით დაასაბუთოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პრინციპი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არ მოქმედებს შეუზღუდავად, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით. გერმანელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულნი არიან დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით. მათი აზრით, მხოლოდ კანონმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საფუძველი, როდესაც პროკურორი გარკვეული მოსაზრებით უარს ამბობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.<sup>26</sup>

დისკრეციული უფლებამოსილება საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ; პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა. შ.<sup>27</sup>

ქართული თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თუ რის საფუძველზე უნდა მიიღოს პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას/შეწყვეტისას, განრიდების/მედიაციის პროგრამის გამოყენებისას ძალიან ჰგავს ამერიკულ მოდელს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი განსაზღვრავს საფუძველებს, თუ რა

<sup>26</sup> გუცენკო. ფ.კ, გოლოვკო ლ.ვ, ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.539;

<sup>27</sup> იქვე.409;

შემთხვევებში შეუძლია პროკურორს გამოიყენოს კანონით მინიჭებული დისკრეცია, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი განრიდება ან მედიაცია<sup>28</sup>. განრიდებისა და მედიაციის გამოყენებაზე სრულად ვრცელდება პროკურორის დისკრეცია და მხოლოდ მას აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება გამოიყენებს თუ არა აღნიშნულ პროგრამას კონკრეტული პირის მიმართ. პროკურორის გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება/არგამოყენებაზე არც კანონით და არც სასამართლო წესით არ ექვემდებარება კონტროლს, არც არსებობს რაიმე სახის რეკომენდაცია ან შიდა ან საერთაშორისო, რაც უდავოდ საკანონმდებლო ნოვაციის არაობიექტურ და არაეფექტიან განხორციელებაზე მიუთითებს<sup>29</sup>.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ეს მიდგომები მეტად დამაფიქრებელია. განრიდება – ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც აქვს პროკურორს, ე.ი პროკურორს განრიდების გამოყენების ან არ გამოყენების შემთხვევაში არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა ეს ღონისძიება.

კანონის თანახმად, პროკურორი ვალდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს ალტერნატივა – განრიდების პროგრამის გამოყენების, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი როგორც სხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში, ასევე განრიდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას.

ვფიქრობ რომ, პროკურორისთვის დისკრეციული უფლებამოსილებით აღჭურვა და დაკანონება როგორც არის იმ სახით თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა ნაადრევად, რასაც მოჰყვა ხარვეზები კანონის პრაქტიულ გამოყენებაში. პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მსგავსი შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება აშკარად სუბიექტივიზმის საფრთხეს

<sup>28</sup> იხ.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 105;

<sup>29</sup> ქუთათელაძე მ., მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, გვ.125;

ბადებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროკურორისათვის შეუზღუდავი დისკრეციის მინიჭება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ამერიკელი იურისტები მას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ, ამერიკელი ექსპერტები მაინც საუბრობენ პროკურორის შეუზღუდავი უფლებამოსილების უკან მდგარ საფრთხეებზე<sup>30</sup>.

უკეთესი იქნება თუ დისკრეციის გამოყენების საფუძვლებს, პირობებს და ზოგადად ჩამონათვალს განსაზღვრავს კანონი, რომელიც ზუსტად დაადგენს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლებს და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდავს ან თითქმის გამორიცხავს მინიმალურ არაობიექტურობასაც კი.

---

<sup>30</sup> გუცენკო. ფ.კ. გოლოვკო ლ.ვ. ფილიმინოვი ბ.ა. დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.241;

## თავი 2. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების თავისებურებები

### 2.1 არასრულწლოვანთა განრიდების საფუძვლები

საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მაშინ, როდესაც მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მთავარი მიზანი და ამოცანა იყო ის, რომ არასრულწლოვანი სრულწლოვანთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემს ნაშრომში მიმოვიხილო კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მიღების მთავარი პრინციპები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და გათვალისწინება. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით<sup>31</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს ასე უნდა მოხდეს შიდა სახელწიფოებრივი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით და ასე ხდება საერთაშორისო მასშტაბითაც.

არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა,

<sup>31</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.59;

ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.<sup>32</sup>

აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ის, რომ პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.<sup>33</sup> საუკეთესო ინტერესის ტესტი აუცილებელია, რომ მოსამართლემ გათვალისწინოს, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს<sup>34</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ინდივიდუალური მიდგომა, ეს უკანასკნელი განმტკიცებული და აღიარებულია ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით და სხვა საერთაშორისო აქტებით.

ინდივიდუალური მიდგომა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ერთმანეთთა დაკავშირებულია, კერძოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები უნდა განიხილებოდეს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, ეს ეხება როგორც პროკურორს ასევე მოსამართლეს, აგრეთვე საზოგადოებას, რომლმაც არასრულწლოვანთან მიმართებაში უნდა გამოიჩინოს ლოიალური პოზიცია, სწორედ

---

<sup>32</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი;

<sup>33</sup> პეკინის წესები, წესი 5;

<sup>34</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.60;

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისთვის, მისი განვითარებისთვის და კანონმორჩილ ადამიანად ჩამოყალიბებისთვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით აღნიშნული პრინციპი პროცესის მწარმოებელი პირისგან მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.<sup>35</sup>

არასრულწლოვნის კანონმორჩილი, საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის მისაღები განვითარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი განსახიველი საკითხია, კანონპროექტი განამტკიცებს არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლებას: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. შესაბამისად, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისთვის, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების კუთხით.<sup>36</sup>

თანაზომიერება შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო აქტებით აღიარებული პრინციპია. ევროპული წესების მიხედვით, სანქციების გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, შემოფარგლული იყოს დანაშაულის სიმძიმით და მხედველობაში იქნას მიღებული არასრულწლოვნის ასაკი, ფიზიკური და გონებრივი განვითარება, შესაძლებლობები

<sup>35</sup> იქვე.61;

<sup>36</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.63;

და პიროვნული მახასიათებლები.<sup>37</sup> აუცილებელია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს დამნაშავესა და დანაშაულის ჩადენის დროისათვის არსებული გარემოებების, ასევე დანაშაულის სიმძიმისა და არასრულწლოვანისა და საზოგადოების საჭიროებების/მოთხოვნების პროპორციული.<sup>38</sup> აუცილებელია არასრულწლოვნის დანაშაულის სიმძიმესთან ერთად გათვალისწინებული იქნეს თავად არასრულწლოვნის ცხოვრება, რომელიც უნდა შეფასდეს ობიექტურად. კანონპროექტის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, აგრეთვე არასრულწლოვნის პიროვნების, ასაკის, მისი საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების შესაბამისი<sup>39</sup>.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები შესაძლებლობის ფარგლებში ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ალტერნატიული ზომების გამოყენებას არასრულწლოვნების მიმართ, კერძოდ ყველაზე მსუბუქ საშუალებას და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობა უნდა მიეცეს მეტი შესაძლებლობა.<sup>40</sup> კანონპროექტი აწესებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების უპირატესობას არასრულწლოვანთან მიმართებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მაგალითად სასჯელის შეფარდებისას პირველ რიგში განხილული უნდა იქნას ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდოს უფრო მძიმე ზომა, თუ დადგინდება, რომ მსუბუქი საშუალება მიზანს ვერ უზრუნველყოფს.

არასრულწლოვნის მიმართ უპირველეს ყოვლისა განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება ან ასეთი ღონისძიება არასრულწლოვნის

---

<sup>37</sup> ევროპული წესი 5;

<sup>38</sup> გაეროს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხლი 13/3;

<sup>39</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.64;

<sup>40</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40.3(ბ);

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის ნაცვლად გამოიყენება, უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზანს.<sup>41</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა განრიდება უპირველეს ყოვლისა განიხილება არასრულწლოვნის მიმართ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, მოემსახურება თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, ქართული რეალობიდან გამომდინარე ზუსტად და ადეკვატურად არის დასადგენი დააკმაყოფილებს თუ არა ნამდვილად იმ მოთხოვნებს, რისი ჩამონათვალიც არის. როცა არასრულწლოვნის მიერ ხდება დანაშაულის ჩადენა პროკურორი უპირველეს ყოვლისა იფიქრებს განრიდების გამოყენებაზე, და თუ შესაბამისი საფუძვლები არ იქნება და განრიდების გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

კანონპროექტი განმარტავს განრიდების გამოყენების წესს, კერძოდ განრიდების გამოყენება შესაძლებელია მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, წარსულში ჩადენილი დანაშაული და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. გადაწყვეტილებაში უპირველეს ყოვლისა უნდა მიეთითოს თუ რატომ ვერ იქნება

<sup>41</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.65;

მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი განრიდების ღონისძიების გამოყენებით<sup>42</sup>. პატიმრობა კი როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია მიუთითებს, უნდა იქნეს გამყენებული როგორც უკიდურესი ზომა<sup>43</sup>.

არასრულწლოვანთათვის განრიდების გამოყენება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის მთავარი მიზანიც არის პროკურორმა „განარიდოს“ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად 18 წლამდე მიუღწეველი პირი<sup>44</sup>, იგივენაირად არის მიჩნეული არასრულწლოვნად 18 წელს მიუღწეველი პირი საქართველოს კანონმდებლობით.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები ხშირ შემთხვევაში არ გამოირჩევიან დიდი ზარალის და დიდი საშიშროების მომტან დანაშაულებად, რადგან არასრულწლოვნები რიგ შემთხვევაში სპონტანურად სჩადიან და დანაშაულს და ისინი არ გამოირჩევიან კრიმინალური ცხოვრების წესით<sup>45</sup>, აქედან გამომდინარე სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის მომეტებული საფრთხის შემქმნელი არ არის ისეთი არასრულწლოვნები, რომლებიც არ ცხოვრობენ კრიმინალური ცხოვრებით, რომლებიც დანაშაულს ჩადენენ სპონტანურად, რომლებიც ცდებიან ბავშური თუ ახალგაზრდული შეგნებით, საფრთხეს ისეთი პირები წარმოადგენენ, რომლებიც დიდი ზიანს და დიდ საფრთხეს იწვევენ, რომლებიც ხშირად ჩადიან დანაშაულებს, იშვიათად წვრილმან დანაშაულებს, აქედან გამომდინარე არასრულწლოვანი, რომელიც მძიმე დანაშაულის დროს მნიშვნელოვნად დიდ ზიანს მიაყენებს დაზარალებულს მის მიმართ განრიდების ინსტიტუტის გამოყენება მიზანშეწონილი შეიძლება არ იყოს.

პროკურორსა და განრიდების სუბიექტს შორის ფორმდება განრიდების ხელშეკრულება, ხელშეკრულებას ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დაზარალებული. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე.

---

<sup>42</sup> იქვე.65;

<sup>43</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37;

<sup>44</sup> დაწვ. 1989 წის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 1;

<sup>45</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ.17;

არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი, რომლის მუშაობა არ არის მაინცდამაინც პროდუქტიული, რადგან სტატისტიკის მიხედვით განრიდებული არასრულწლოვნები ისევ ჩადიან დანაშაულს, რადგან შესაძლოა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული ეს ერთი შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები, ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. რა დროსაც დიდი ალბათობით პროკურორი სისხლისამართლებრივ დევნას განაახლებს.

განრიდების პროგრამის მთავარი მიზანი და ამოცანაა არასრულწლოვანს მისცეს ერთი შანსი, იზრუნოს მისთვის საუკეთესო ინტერესებისთვის, დაიცვას და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამასთანავე, პროგრამა ემსახურება დაზარალებულებისთვის მართლმსაჯულების აღდგენასა და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ღონისძიებებში მათ ჩართვას.

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. 2011 წლის ნოემბერში დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2012 წლის თებერვალში 9 ახალი ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი და ქობულეთი. 2013 წელს დაემატა 10 ქალაქი: ხაშური, ქარელი, მარნეული, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და მესტია. 2013 წელს კი პროგრამა გავრცელდება საქართველოს სრული მასშტაბით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის „38“ მუხლი განმარტავს, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება განრიდება, პირველი ნაწილის მიხედვით „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას“. პირველ რიგში პროკურორმა უნდა გაარკვიოს როგორი კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანმა, რადგან განრიდების გამოყენების საფუძველი მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის დროს შეიძლება იყოს, რა თქმა უნდა სახელმწიფო ბრალდება უნდა დარწმუნდეს უზრუნველყოფს თუ არა განრიდების

გამოყენება არასრულწლოვნის სამ შემდეგ მნიშვნელოვანი ღირებულების განხორციელებას, კერძოდ აღდგენითი მართლმსაჯულება, რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია არის ბენეფიციარში პასუხისმგებლობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად<sup>46</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ განრიდება სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებაა და გარკვეულწილად სასჯელის ფუნქციას ატარებს შესაბამისად ემსახურება დანაშაულის თავიდან აცილებას. ამავე „38“ - ე მეორე ნაწილის თანახმად „პროკურორი უფლებამოსილია ამ თავით დადგენილი წესით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ“. პროკურორი ამ შემთხვევაში იღებს ორი სახის გადაწყვეტილებას, პირველი სისხლისსამართლებრივ დევნას არ დაიწყებს და მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, ან სისხლისსამართლებრივ დევნას შეწყვეტს და მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. მესამე ნაწილის მიხედვით „პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულისშემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამ კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში“. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები,

<sup>46</sup> დაწვრ.საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი ;

დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები<sup>47</sup>, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართ საუკეთესო ინტერესებისთვის გამოსაყენებელი ნებისმიერი პირობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რა წინაპირობები და რა საფუძვლები უნდა უსწრებდეს წინ განრიდების გაფორმებას, რომელიც როგორც წესი ფორმდება წინასასამართლო სხდომამდე, თუმცა შესაძლებელია გაფორმდეს საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომ<sup>48</sup>, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე- 40 მული იძლევა განრიდების გამოყენების წინაპირობათა ჩამონათვალს, როდესაც განრიდება შესაძლებელი იქნება გამოყენებულ იქნეს შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას, ესენია:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

კანონი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლები უნდა არსებობდეს, რათა გაფორმდეს განრიდება, თუმცა მოცემულ ჩამონათვალში ჩემი კრიტიკის ობიექტია პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენა, სადაც ის სუბიექტივიზმით სარგებლობს, პროკურორიც, როგორც ყველა ადამიანია და მას შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობის საფუძველზე, იმისდამიუხედავად

<sup>47</sup> დაწვ.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27 - ე მუხლი;

<sup>48</sup> დაწვ.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39 - ე მუხლი;

არასრულწლოვან დააკმაყოფილებს თუ არა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს შინაგანი რწმენით არ განარიდოს და არ იზრუნოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებისთვის, უკეთესი იქნება, თუ ეს პუნქტი არ იქნება სავალდებულო და მხოლოდ სხვა ჩამონათვალის მიხედვით განისაზღვრება არასრულწლოვანის განრიდება არ განრიდების საკითხი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით განრიდება არასრულწლოვანის უფლებაა და არა ვალდებულება, შესაძლებელია მასზე უარი თქვას, აგრეთვე არასრულწლოვანს უნდა განემარტოს ნებისმიერი პირობა, რაც კავშირშია განრიდებასთან<sup>49</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 42 - ე მუხლი განრიდების ღონისძიებებთან ჩამონათვალს იძლევა, რომელთაგან შესაძლებელია რამდენიმე იქნეს გამოყენებული, თუმცა გათვალისწინებულ და მიღებულ უნდა იქნეს განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვანისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან მის მოწყვეტას, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, აგრეთვე დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების გამოყენება.

განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) არასრულწლოვანის წერილობითი გაფრთხილება (არასრულწლოვანის წერილობითი გაფრთხილება ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებით ჩადენას);

ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა (აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვანის განრიდება მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ

<sup>49</sup> დაწვ.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 41 - ე მუხლი;

შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას);

გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება (იქიდან გამომდინარე, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება არასრულწლოვანი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგანაც თავისუფლდება, ცალსახაა, რომ აუცილებლად უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი);

დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება;

ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება (არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება ნიშნავს განსაზღვრული დროით არასრულწლოვნის მინდობით აღმზრდელისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს. განრიდების ღონისძიების განხორციელების პროცესში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45 - ე მუხლი არასრულწლოვანს აკისრებს მოვალეობებს და უწყებს აკრძალვებს განრიდების გამოყენების დროს, კერძოდ:

არასრულწლოვანს შეიძლება აკრძალოს:

ა) განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება (როგორც წესი დაზარალებული/დაზარალებულები);

ბ) ბინადრობის ადგილის შეცვლა (დაზარალებულთან/დაზარალებულთან ახლოს მცხოვრებ განრიდებული პირის მიერ);

გ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;

დ) ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება (ნებართვა უნდა მიიღოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში);

ე) სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცი-რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს:

ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;

ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;

გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელი თი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;

დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;

ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცი-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

განრიდება, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით. აღნიშნული ქმედება უმთავრეს საპროცესო ფუნქციას წარმოადგენს, რადგანაც სისხლისსამართლებრივი დევნა არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია დამნაშავეს მხილებისა და პასუხისგებაში მიცემისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და მართლმსაჯულების შესაძლებლობას, განრიდების პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია, პროგრამა საშუალებას იძლევა პროკურორმა არასრულწლოვნის მიმართ არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ამასთანავე რა თქმა უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინტერესები და არ დატოვოს რეაგირების გარეშე, განრიდების მთავარი მიზანი არის ის, რომ არასრულწლოვნებს მისცეს შანში ნასამართლობის გარეშე იცხოვრონ და იქცნენ კანონმორჩილ მოქალაქეებად.<sup>50</sup>

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ ახალმა ნორმატიულმა აქტმა

<sup>50</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზურიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.349;

ბევრი საკანონმდებლო ნოვაცია შემოიტანა და მათ შორის, ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს დისკრეციის პრინციპის დაკანონება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მისი უფლებაა და არა მოვალეობა.<sup>51</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის მეორე მუხლის მეორე ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით „დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“.<sup>52</sup> „დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტილების მიღებას. დისკრეციული უფლებამოსილება არცთუ ისე დიდი ხანია დამკვიდრდა და დღევანდელი სახით ჩამოყალიბდა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება მარტივად შეიძლება განიმარტოს: პროკურორს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის, საპროცესო შეთანხმების დადების, განრიდების, სასჯელის ზომასთან დაკავშირებული და ასევე სხვა სისხლის სამართლის პროცესუალური საკითხები. სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.<sup>53</sup>

დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე კანონი პროკურატურის შესახებ ცალსახად აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.<sup>54</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დამოკიდებულია პროკურორის შეხედულებაზე. მას არავითარი კავშირი არ აქვს არც დაზარალებულთან, დაზარალებულთან პროკურორი

<sup>51</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2014, გვ.166;

<sup>52</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

<sup>53</sup> მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;

<sup>54</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ მუხლი 14;

განრიდების გამოყენების შემთხვევაში მხოლოდ კონსულტაციას გადის, სხვა ბერკეტი დაზარალებულს არ აქვს, რაც ჩემი აზრით არ არის მისაღები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს დაზარალებულს უფლება აქვს მიმართოს ზემდგომ პროკურორს, ხოლო ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოში<sup>55</sup>, თუმცა ეს ეხება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, განრიდება კი ფორმდება მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დისკრეციის გამოყენებისას პროკურორი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით, რომელიც მნიშვნელოვნად განისაზღვრება დაზარალებულის პოზიციით, თუმცა დაზარალებულის არასწორი პოზიცია ან მისი გაუთვალისწინებლობა არ აფერხებს პირის მიმართ დისკრეციის გამოყენებას. ასევე, როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პირის მიმართ გამოიყენება განრიდება, პროკურორი დაზარალებულთან წინასწარ გადის კონსულტაციას განრიდების გამოყენების საკითხის შესახებ და არკვევს მის პოზიციას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში ფიქსირდება წერილობითი ფორმით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმწიფო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვით პროკურატურის ორგანომ სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად უნდა შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და ამ მეტად მნიშვნელოვან საპროცესო ფუნქციაში პროკურორის როლის უზრუნველყოფის საქმეში<sup>56</sup>.

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განრიდება ნოვაციაა 168<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პირის განრიდებას. განრიდების დროს პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად

<sup>55</sup> დაწვ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი 168 - ე მუხლი;

<sup>56</sup> დაწვ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმწიფო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ”

მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე.

განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 143<sup>3</sup>, 144-ე, 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 144<sup>3</sup> მუხლებით, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე. ამავე მუხლში გათვალისწინებულია, რომ თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციას. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით<sup>57</sup>. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას,

<sup>57</sup> დაწვ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესპროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განრიდება არის სიახლე საქართველოს კანონმდებლობაში. ის არ იყო გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. განრიდების შესახებ შესაბამისი მუხლები დაემატა 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. განრიდების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება და განხორცილება იყო, როცა მანამდე მხოლოდ დასჯითი ხასითის მიდგომა ჰქონდა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს. განრიდების და მედიაციის პროგრამა, რომელსაც "ერთი შანსის პროგრამასაც" უწოდებენ, პილოტური რეჟიმით 2011 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა.

განრიდებამ ერთი წლის განმავლობაში თავიდან საქართველოს ექვსი ქალაქი მოიცვა და ასამდე მოზარდს მისცა შანსი, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის არ გასამართლებულიყვნენ. ამის სანაცვლოდ ისინი საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებს ასრულებდნენ. მას შემდეგ, რაც შეაჯამეს პროგრამის ამოქმედების შედეგები, აღმოჩნდა, რომ იმ 84 მოზარდისგან, რომელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არიდება მოხდა, განმეორებითი დანაშაული მხოლოდ ერთმა მათგანმა ჩაიდინა. ამ შედეგმა საქართველოს პროკურატურას მისცა იმის საშუალება, რომ პროექტის გაფართოებაზე დაეწყო ზრუნვა. 2012 წლიდან განრიდებისა და მედიაციის პროგრამა პილოტურიდან მოქმედ რეჟიმში გადავიდა და ეტაპობრივად მთელი საქართველო მოიცვა.<sup>58</sup>

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია იგი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მხარეებთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დანაშაულის

---

<sup>58</sup> არასრულწლოვანთა დანაშაულთა პრევენციის სტრატეგია, იუსტიციის სამინისტრო;

შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების მიმართ. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის მედიაცია. მისი მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. მედიაციაში ცენტრალურ როლს ასრულებს მედიატორი. განრიდების პროგრამის გამოყენებისას უმთავრესია ის გარემოება, რომ განრიდებული პირი ნასამართლობის არმქონედ ითვლება, რაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს შანსი 2010 წლიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით გამოიყენა 622-მა არასრულწლოვანმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განრიდებული არასრულწლოვნებიდან მხოლოდ 24-მა ჩაიდინა განმეორებით დანაშაული, რაც იმას ნიშნავს, რომ განრიდებული არასრულწლოვნების მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი 4%-ს უტოლდება. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღნიშნული პროგრამა წარმატებულად ითვლება, თუ ეს მაჩვენებელი არ აღემატება 25%-ს. საქართველოს შემთხვევაში კი ამ ეტაპისათვის ეს მაჩვენებელია 4%, რაც თავისთავად მიუთითებს განრიდების პროგრამის წარმატებაზე.<sup>59</sup>

ამასთანავე, ეს განრიდების პროგრამა მიზნად ისახავს დაზარალებულის სამართალშეგნების ამაღლებასაც, რომელსაც უცვლის დამოკიდებულებას დანაშაულის ჩამდენის მიმართ. ეს პროცესი განსაკუთრებით ნათლად ჩანს არასრულწლოვან ბრალდებულთან მედიაციის გამოყენების დროს. რაც შეეხება სრულწლოვანთა განრიდებას, ეს არის პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმა, რომელიც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება, თუკი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მზადაა სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი ან უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო. ეს პროგრამა არ გავრცელდება მათზე, ვისაც სასჯელის სახედ პატიმრობა აქვთ შეფარდებული. სრულწლოვანი პირის განრიდების საკითხი წინასასამართლო სხდომის გამართვამდე ანუ იქამდე წყდება, ვიდრე მოსამართლე პირს სასჯელს მიუსჯის. პირის განრიდების

---

<sup>59</sup> იქვე;

საკითხს პროკურორი და ზემდგომი პროკურორი წყვეტენ და შემდეგ წერილობით აცნობებენ განსარიდებელ პირს. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი მზადაა სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი ან უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო. შესაბამისად, სამართლის საქმე მთავრდება ნასამართლობისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარეშე. გარდა ამისა, განრიდების დანერგვასთან ახლავს ისეთი მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, როგორცაა:

- სახელმწიფო რესურსების დაზოგვა და პროცედურების გამარტივება;
- სასამართლოს განტვირთვა მცირე მნიშვნელობის საქმეთა განხილვისგან;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აქტუალიზაცია;<sup>60</sup>

ბრალდებულის მიერ განრიდების პროგრამის გამოყენების შემთხვევაში ნაკისრი პირობების შეუსრულებლობისას პროკურორი წყვეტს დაიწყოს ან განაახლოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ყურადღება მიექცევა მის მიერ ჩადენილ წინა დანაშაულს.

ევროკავშირის ქვეყნებში ეფექტურად მოქმედებს პასუხისმგებლობის ალტერნატიული სახეობები. საქართველოშიც წარმატებით განხორციელდა არასრულწლოვანთან განრიდების პროექტი, ხოლო მოგვიანებით სრულწლოვანთა განრიდებაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში დაიწყო განრიდების გამოყენება. კანონის ლიბერალიზაცია კი თავისთავად ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას უკავშირდება.<sup>61</sup>

სრულწლოვანთა განრიდება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. მასზე გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს – მას შეუძლია, არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორმა განრიდებას, შეიძლება, იმ შემთხვევაში მიმართოს, თუ დანაშაული ნაკლებად მძიმე, ან მძიმეა. თუმცა, ეს უკანასკნელი ძალადობრივი არ უნდა იყოს.

<sup>60</sup> ქუთათელაძე მ., „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, თბილისი, 2017, გვ.153;

<sup>61</sup> განრიდების პროგრამის სტატისტიკა საქართველოში [1tv.ge](http://1tv.ge);

თავის მხრივ, პირი მზად უნდა იყოს, გარკვეული პირობები შეასრულოს: სახელმწიფოს გადასცეს უკანონოდ მოპოვებული ქონება, ან აანაზღაუროს ამ ქონების ღირებულება; ჩააბაროს დანაშაულის იარაღი, ანდა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტი; სრულად, ან ნაწილობრივ აანაზღაუროს თავისი ქმედებით გამოწვეული ზიანი; სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადაიხადოს თანხა; უსასყიდლოდ შეასრულოს საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო.

საქართველოს მთავრობის სურვილია, სისხლის სამართლის პროცესში პასუხისმგებლობის ალტერნატიული სახეები დაინერგოს. ამ შემთხვევაში ის ევროპულ გამოცდილებას იზიარებს. იუსტიციის სამინისტრო მიზნად სასამართლოს რესურსების დაზოგვასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აქტუალიზაციასაც ისახავს. დამატებითი მოტივატორი კი, არასრულწლოვნებთან არსებული პრაქტიკა გახდა.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბრიდან ამუშავდა. ის, ნაკლებად მძიმე დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვანს შეიძლება შეეხოს. მედიაცია არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგსა და შერიგებას გულისხმობს, თუ დაზარალებულიც თანახმაა. განრიდებულ არასრულწლოვანთან ინდივიდუალური ხელშეკრულება ფორმდება მაქსიმუმ 12 თვით, რაც მას გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს დაზარალებულის, ან საზოგადოების წინაშე. იმ დროისთვის (იგულისხმება ამ ორი ინსტიტუტის საცდელი ვარიანტის გამოცდა) 22 განრიდება შედგა – აქედან რვა მედიაციით წარიმართა. მედიაციაში მონაწილეობაზე, დაზარალებულებმა მხოლოდ ორ შემთხვევაში თქვეს უარი. იყო შემთხვევები, როდესაც დაზარალებული 11-12 წლის იყო და მისი მედიაციაში ჩართვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. დანარჩენი ათი დანაშაული კი ცივი იარაღის ტარება იყო და რადგან კონკრეტულად არავის შეხებია მედიაცია ვერც შედგებოდა. ამ დროისთვის რამდენიმე ხელშეკრულება დასრულდა, არც ერთი მათგანი არ დარღვეულა და არც რაიმე რეციდივი აღნიშნულა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სტატისტიკა – თუ არ დავრწმუნდებით, რომ, მაგალითად, გაუმჯობესდა ამ ბავშვის სკოლაში დასწრება და მოსწრება, ან რომ განმეორებით დანაშაულს აღარ ჩაიდენენ, რაც 5 წლის

განმავლობაში შეფასდება, მანამდე სერიოზულ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ”, – ამბობს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ანდრო გიგაური. ის პროცესის დასაწყისს წარმატებულად აფასებს.

არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია ჯერჯერობით თბილისს, ქუთაისს, ბათუმსა და რუსთავს მოიცავს. წელს მისი გაფართოება – გორსა და სამტრედიისში – იგეგმება. დაგეგმილია რამდენიმე ახალი პროგრამის დაწყებაც – მაგალითად, განრიდება საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობებით, ან ცივი იარაღის ტარებისთვის. ანდრო გიგაური არ გამორიცხავს, რომ მომავალში არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია მძიმე დანაშაულებაც შეეხოს. ერთ-ერთი ჯგუფური ქურდობაა – თუ ის შინაარსით ნაკლებად მძიმეა, თუმცა, ჯგუფურობის გამო, მძიმე კატეგორიაში ხვდება.

ამ და სხვა ცვლილებებით, ხელისუფლება ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკიდან უხვევს. ამ პოლიტიკამ, დანაშაულის დიდი დოზით შემცირების გარდა, უსაფრთხოების განცდაც დაბადა. ამას დანაშაულის კლების სტატისტიკა და საზოგადოებრივი განწყობების კვლევაც ადასტურებს. უფრო ღმობიერი მიდგომების დანერგვამ, შესაძლოა, მიღწეულ შედეგზე ნეგატიურად იმოქმედოს. ნულოვანი ტოლერანტობის არსი, სწორედ მცირე დანაშაულისადმი შეუფუებლობაა.

არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია ჯერჯერობით თბილისს, ქუთაისს, ბათუმსა და რუსთავს მოიცავს. წელს მისი გაფართოება – გორსა და სამტრედიისში – იგეგმება.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების მოწინააღმდეგეებს არგუმენტად ციხეებში ბევრი პატიმრის ყოფნა მოჰყავთ და ის, რომ საქართველო, ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ეს არგუმენტი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც პატიმრები გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს აწვებიან წნეხად. საპირწონე კი უფრო არსებითი რამაა – საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რასაც საფუძველი დანაშაულისადმი და დამნაშავეებისადმი მკაცრმა მიდგომებმა შეუქმნა. დანაშაულისადმი ღმობიერი მიდგომები, საზოგადოებაში დაუსჯელობის შეგრძნების გაჩენის რისკს ქმნის. მით უფრო, რომ უსაფრთხოების სწრაფად მიღწეული ეფექტი, კანონმორჩილების ხანგრძლივი გამოცდილებით არ არის გამყარებული.

ევროპული გამოცდილების გაზიარებამ, შეიძლება, შედეგი ვერ მოიტანოს. ის, რომ ესა თუ ის პროგრამა ევროპაში მოქმედებს, არ ნიშნავს, რომ საქართველოშიც იმუშავებს. მით უმეტეს, რომ ხშირად, ევროპაში, ამგვარი პოპულარული მიდგომების საფუძველი იდეოლოგიური კლიშეა – თითქოს ვინმეს დანაშაული საზოგადოების ბრალია, რაც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გამორიცხავს და თავისი არსით ანტილიბერალურია.

გარდა ამისა, პრობლემები პრაქტიკული თვალსაზრისითაც შეიძლება შეიქმნას. ამ პროცესებში მონაწილე კვალიფიციური და პატიოსანი კადრების მოძიება რთული იქნება. არსებობს საშიშროება, რომ გაწერილი პროცედურები ფორმალობად იქცეს, ხოლო მასში მონაწილეებს კორუფციული ცდუნებები გაუჩნდეთ.

ანდრო გიგაური ამბობს, რომ მათი მიდგომის არსი ისაა, რომ სადაც შესაძლებელია, ადამიანებმა ალტერნატიული ფორმით მოიხადონ სასჯელი – იქნება ეს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა თუ უფროს-უმცროსების განრიდება. „უბრალოდ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათზე პოზიტიურად ვზემოქმედებთ. ეს დაუსჯელობის შეგრძნებას არ უნდა ქმნიდეს“, – ამბობს ის<sup>62</sup>.

განრიდება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი, ღირებული და კარგი სიახლეა ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის, თუმცა არის რაღაც ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც განრიდების ინსტიტუტს უფრო მექანიზმებულს, ფუნქციურს და მისაღებს გახდის პროცესის მონაწილე ყველა მხარისთვის.

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მივიჩნე ნაშრომში წარმომედგინა 2017 წლის განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

---

<sup>62</sup> განრიდების პროგრამა: პირველი ნაბიჯი, 2011 წლის 18 მაისს გამოქვეყნებული სტატია გაზეთ ტაბულაში;

## 2.2 არასრულწლოვანთა განრიდების პრინციპები

პრინციპი ნებისმიერი დარგის საფუძველია, რა თქმა უნდა არასრულწლოვანთა განრიდებასაც აქვს პრინციპები, რასაც უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვანთა განრიდება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება №94 2010 წლის 7 დეკემბრის განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე მეხუთე თავში ჩამოთვლილია ის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომელთა გარეშეც ვერ მოხდება განრიდებით სარგებლობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოწესრიგება საკმაოდ ბევრი შიდა და საერთაშორისო აქტებით ხდება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო აქტებზე, რომლებიც არამარტო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას არამედ ზოგადად სისხლის სამართლის სისტემას აწესრიგებენ<sup>63</sup>.

1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა – არასრულწლოვნის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების

---

<sup>63</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში [შემდგომში “საყოველთაო დეკლარაცია”]; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 2200A (XXI) რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს; გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები პატიმრების მიმართ მოპყრობის შესახებ, მიღებული ჟენევაში 1955 წელს გამართული დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების მიმართ მოპყრობის თემაზე გაეროს პირველი კონგრესის მიერ და დამტკიცებული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციითა და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით [შემდგომში “პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები”]; ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, გაერო GAOR A/RES/43/173, 1988 წლის 9 დეკემბერი, რომელშიც მოცემულია ადმინისტრაციულ პატიმრობას დაქვემდებარებულ პირთა დაცვის პრინციპები [შემდგომში “პრინციპების ნაკრები”]; გაეროს დეკლარაცია სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ, რომელიც გაიმართა მილანში 1985 წლის 26 აგვისტოს - 6 სექტემბრის პერიოდში, ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის UN GAOR 40/32 და 13 დეკემბრის UN GAOR 40/146 რეზოლუციებით; გაეროს არასაპატიმრო ღონისძიებათა სტანდარტული მინიმალური წესები, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 14 დეკემბერს GAOR A/RES/45/110 [შემდგომში “ტოკიოს წესები”]; გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, მიღებული 1990 წლის 7 სექტემბერს დამნაშავეთა მიმართ მოპყრობისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ გაეროს მერვე კონგრესის მიერ, ჰავანა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის პერიოდში;

ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან მის განრიდებას;

პირველი პრინციპი მნიშვნელოვან დათქმას აწესებს და პირდაპირ მიუთითებს, რომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის დროს არ იქნეს საპატიმრო სასჯელი გამოყენებული, თუ ამ დანაშაულს პირველად სჩადის არასრულწლოვანი, მსგავსი ხასიათის შინაარსს მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73 - ე მუხლის პირველი ნაწილი: „არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი“. ასევე პეკინის წესები<sup>64</sup>, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სტანდარტებს განსაზღვრავს. პრინციპი არამარტო საპატიმრო სასჯელის თავიდან არიდებაზე მიუთითებს, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის არიდებაზეც, სისხლისსამართლებრივი დევნა კი წყდება, როდესაც განრიდება ფორმდება მხარეებს შორის.

2. ნებაყოფლობითობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე;

განრიდების დროს ნებაყოფლობითობა და ნების გამოვლენა გარკვეულ წილად ჰგავს სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ფორმას, როდესაც ნების გამოვლენის ინსტიტუტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, მეტიც კერძო სამართალი ნების

---

<sup>64</sup> პეკინის წესები გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოეპყრონ არასრულწლოვანს, როდესაც იგი მართლმსაჯულების სისტემაში ხვდება. აღნიშნული წესები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პოლიციელების სპეციალური ტრენინგი და ჯეროვანი საპროცესო გარანტიები. ამასთანავე, წესები ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს სასამართლო საქმის წარმოებიდან არასრულწლოვანთა განრიდების თაობაზე;

ავტონომიაზეა დამყარებული<sup>65</sup>. აღსანიშნავია ის, რომ განრიდების წარმოშობა პირის მიერ დანაშაულის აღიარება უნდა უსწრებდეს წინ, მოცემული პრინციპი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ დაუშვებელია რაიმე სახის ზეგავლენა, ასევე უარის თქმის უფლებაც აქვთ მხარეებს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

3. პროპორციულობა – არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე;

ბავშვთა უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებენ, რათა არასრულწლოვნებისთვის შეიქმნას სპეციალური სასამართლოები<sup>66</sup>. პრინციპი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს ქმედების პროპორციულობას, თუმცა როგორც ნაშრომში ავლნიშნე ჩეზარე ბეკარიას სიტყვები „დამნაშავე არ უნდა დავიყვანოთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულამდე“<sup>67</sup>, რასაც ვეთანხმები, მითუმეტეს, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება, მას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული საფრთხის შემცველი დანაშაული ჩადენილი, თუმცა მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად უნდა მოხდეს გარკვეული დოზით მსუბუქი ღონისძიების შერჩევა. არასრულწლოვნის მიმართ შემზღუდავი და დამალადებულებელი ღონისძიების შერჩევის დროს პრინციპი მიუთითებს, რომ უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვნის ასაკი და სხვა

---

<sup>65</sup> „ნების გამოვლენა“ არის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული სუბიექტური ნების ობიექტურად შეცნობადი გაცხადება. იგი მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე. „გამოვლენა“ ამ ნების ობიექტურად გაცხადებაა იმ სახით, რომ გასაგები, აღქმადი იყოს ადრესატის მიერ. ნება, რომელიც გამოვლენილი არ არის არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის საჭიროა სახეზე იყოს ნების გამოვლენის სუბიექტური (მოქმედების, გამოვლენის და სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება) და ობიექტური კომპონენტები. „მოქმედების ნება“ არის ნების ფორმირებისა და, შესაბამისად, ნების გამოვლენის სავალდებულო კომპონენტი. თუ არ არსებობს მოქმედების ნება, ვერ იარსებებს თავად ნების გამოვლენაც. მოქმედების ნება არ არსებობს, მაგალითად, რეფლექსური მოძრაობისას, ძილში ბოდვისას და ა.შ. იგივეა შემთხვევა, როდესაც პირზე ფიზიკურად ზემოქმედებენ. ამ შემთხვევაში არ ხდება ნების ფორმირება, ვინაიდან, რეალურად მის ნაცვლად სხვა პირი მოქმედებს (ბალდავაძე გ., სულაძე ი., შესავალი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2012);

<sup>66</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007);

<sup>67</sup> დასახ.ნაშრომი;

მახასიათებლები, ამ უკანასკნელში იგულისხმება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცი-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით<sup>68</sup>.

4. კონფიდენციალურობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული;

კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანი პრინციპია, რადგან არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია საიდუმლოდ იქნეს შენახული მასზე ინფორმაცია, უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოებში არასრულწლოვან ბრალდებულებთან ან/და არასრულწლოვან დაზარალებულთან პროცესი დახურულია, რაც პირდაპირ მიუთითებს მათი დაცვის ერთ-ერთ მექანიზმზე, როგორც არის კონფიდენციალურობა, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს დაცული განრიდების დროსაც, თუმცა პრინციპი უშვებს გამონაკლისს, კერძოდ თუ მხარეებს სურთ, რომ ინფორმაცია საჯარო იყოს, მაშინ სავსებით კანონიერი იქნება ინფორმაციის გასაჯაროება.

5. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე;

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნით, “ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი სუბიექტი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.”<sup>69</sup> მნიშვნელოვანია ის, რომ მოზარდი არ უნდა

<sup>68</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.59;

<sup>69</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია;

მოწყდეს განვითარების გზას, რომელსაც იგი გადიოდა, რადგან საქართველოს კონსტიტუციითაც უზრუნველყოფილია განათლების უფლება, კონკრეტულად საბაზისო განათლებას ბავშვს (18 წელი) აძლევს სახელმწიფო<sup>70</sup>.

6. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება – პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის ინტერესს. აქ უნდა შეფასდეს, თუ რა შესაძლო შედეგი ექნება არასრულწლოვნის ჩართვას პროგრამაში, როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი და ა. შ.

პროკურორმა უნდა იმოქმედოს ფაქტებზე, კონკრეტული პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე და ა.შ. უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ შეძლებს თუ არა შერჩეული ღონისძიება დანაშაულის თავიდან აცილებას, კითხვაზე პასუხის გაცემის შემდგომ პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

---

<sup>70</sup> საქართველოს კონსტიტუცია 35 - ე მუხლი;

## თავი 3. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულაციები

### 3.1 განრიდების პროცესში ჩართული სუბიექტები

განრიდების პროცესის ძირითადი მონაწილე სუბიექტები არიან ბრალდებული და პროკურორი, არასრულწლოვნის შემთხვევაში - ასევე მისი კანონიერი წარმომადგენელი და სოციალური მუშაკი<sup>71</sup>. აღნიშნულ პროცესში გარკვეულ როლს ასრულებენ დაზარალებული და ადვოკატი. რაც შეეხება სხვა პირებს, რომლებიც შესაძლოა გარკვეულწილად ჩართულნი იქნენ განრიდების პროცესში, მაგალითად თარჯიმანი, ექსპერტი და ა.შ. განრიდების პროცესში პროკურორის როლი უმთავრესია, ზუსტად პროკურორი იწყებს განრიდების პროცესს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე და დასრულების შემდეგ გამოაქვს გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სისხლისამართლებრივი დევნის არ დაწყების შესახებ, ბოლოს კი დასაბუთებული დადგენილების წყვეტს გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეზე. 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანებაში ნათქვამია: „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია. პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე“<sup>72</sup>.

პროკურორი სისხლისამართლებრივ დევნას არ იწყებს/წყვეტს კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება არეგულირებს როგორც პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების საზღვრებს, ასევე

<sup>71</sup> იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №2 9 2011 წლის 22 თებერვალი, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;

<sup>72</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

მოქმედების ძირითად პრინციპებს<sup>73</sup>. პროკურორი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იცავდეს საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო საქმიანობისას – ადამიანის პატივსა და ღირსებას. კერძოდ კი, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა დაადგინოს, რამდენად მიზანშეწონილია დევნის დაწყება.

პროკურორი როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის იწყებს ხელმძღვანელობს ორი ძირითადი ტესტით: საჯარო ინტერესი და მტკიცებულებითი ტესტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა ცნებას, მტკიცებულებათა სახეებსა და მათი მოპოვებისათვის გათვალისწინებულ საპროცესო წესებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით: “მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას“.<sup>74</sup>

მტკიცებულებითი ტესტის თანახმად, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ“. ხოლო საჯარო ინტერესის ტესტის თანახმად, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა გარემოება, მათ შორის: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;

<sup>73</sup> დაწვ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181 2010 წლის 8 ოქტომბერი სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ;

<sup>74</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა; პირის ბრალეულობის ხარისხი; ასევე მისი კრიმინალური წარსული; გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; პიროვნული მახასიათებლები; მსჯავრდების შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელი ან სხვა შედეგი. აღნიშნული პრინციპები და ფაქტორები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესში, უნდა იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.<sup>75</sup>

ცალსახაა, რომ საჯარო ინტერესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღების დროს. საკითხავია, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული, რომელიც არ არის ძალადობრივი ხასიათის, ატარებს თუ არა მაღალ საჯარო ინტერესს.<sup>76</sup>

„არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №235 ბრძანებულებაში ხაზგასმული და აღიარებულია არასრულწლოვანთა დანაშაულის მნიშვნელოვანი თავისებურება, კერძოდ დანაშაულის ეპიზოდური ხასიათი.<sup>77</sup> თუ ცნობილია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა და იგი სოციალიზაციის დასრულებასთან ერთად ქრება, მაშინ საზოგადოების ინტერესს უნდა წარმოადგენდეს არა არასრულწლოვნის დასჯა და ციხეში მისი კრიმინალად ჩამოყალიბება, არამედ მისი ჩართვა განრიდების და მედიაციის ან სხვა მსგავს პროგრამებში, რაც იმ კონკრეტულ არასრულწლოვანს მისცემს გამოსწორების შანსს<sup>78</sup>.

არასრულწლოვანთა განრიდებასთან დაკავშირებით თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აქტი მიუთითებს აღმზრდებოთ საქმიანობას არასრულწლოვანთა მიმართ, სამწუხაროდ, აღმზრდებლობითი ზემოქმედების იძულებითი

<sup>75</sup> მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2014, გვ.180,181;

<sup>76</sup> მ. შალიკაშვილი, . არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, . თბილისი, 2013 . გვ. 53;

<sup>77</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235 2012 წლის 22 მარტი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

<sup>78</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2011, გვ.160;

ღონისძიებების არ არის იმდენად ფუნქციური, რომ მოხდეს დიდი დოზით არასრულწლოვნის რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და მისგან დანაშაულის თავიდან აცილება.

სისხლის სამართლებრივი ნორმის გამოყენების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა სწორედ გრძელვადიანი პერსპექტივით კონფლიქტის მოგვარება<sup>79</sup> და არა არასრულწლოვნის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება.

ბრალდებული ზოგადად სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური სუბიექტია. იმ ქმედებაზე, რომელიც მას ბრალად ედება, წარმოებს გამოძიება, სასამართლო განხილვა და დგება განაჩენი. სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში ბრალდებულის ცნება ვიწრო და ფართო გაგებით გამოიყენება. ვიწრო გაგებით, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდებულად ცნობის შესახებ ან შედგენილია დაკავების ოქმი. ფართო გაგებით, ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა<sup>80</sup>. ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც ამა თუ იმ ფორმით ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა - საბრალდებულო საქმიანობა<sup>81</sup>.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდების ცნებასთან ერთად იყენებდა ექვმიტანილისა და განსასჯელის ცნებებს. ექვმიტანილი იყო პირი, რომლის მიმართ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ იყო საკმარისი ბრალდების წასაყენებლად. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირს ეწოდებოდა ბრალდებული, ხოლო პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა-განსასჯელი<sup>82</sup>.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განრიდების პროცესში შესაძლოა ტერმინი ბრალდებული საერთოდ არ იყოს ნახსენები, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება

---

<sup>79</sup> იქვე. გვ.4;

<sup>80</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადემქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015, გვ.178;

<sup>81</sup> ადამიანის უფლებათა კონვენცია;

<sup>82</sup> იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

ისეთი პირის განრიდება, რომლის მიმართაც მართალია შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისათვის, მაგრამ პროკურორი იწყებს არა სისხლისამართლებრივ დევნას მის მიმართ, არამედ პირდაპირ განრიდებას პროცესს და იმ პირს, რომლის მიმართ გამოყენებული იქნა განრიდებას ინსტიტუტი, ეწოდება განრიდებას სუბიექტი. ასევე განრიდებას სუბიექტად მოიხსენება ის ბრალდებულიც, რომლის მიმართაც დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა და მიმდინარეობდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვაც კი, თუმცა შემდგომში მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, განრიდებას გამოყენების მიზნით მოსამართლის მიერ საქმე დაუბრუნდება პროკურორს.<sup>83</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირი ბრალდებულად ითვლება, როდესაც მის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ ან იგი დაკავებულია. თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებული არიან ამ გარემოებას 48 საათის განმავლობაში შეუსაბამონ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები.<sup>84</sup>

სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მისი უფლებები აუცილებელი გამონაკლისის გარდა ფაქტიურად გაუთანაბრდა ბრალდების მხარის უფლებებს. ვინაიდან პირი აღნიშნული უფლებებით სარგებლობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ბრალდებულის სტატუსი მიენიჭება, შესაძლოა ვინმემ იფიქროს რომ განრიდებას სუბიექტს, რომლის მიმართაც არ არის გამოტანილი დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და არც დაკავებულია, ეზღუდება აღნიშნული უფლება, მაგრამ კანონმდებლის მიერ მოხდა აღნიშნულის გათვალისწინება და განრიდებას სუბიექტი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით და ბრალდების მხარე ზედმეტი პროცედურების თავიდან აცილების გარდა ახერხებს სახელმწიფოს და განრიდებას სუბიექტის ინტერესების მაქსიმალურად განხორციელებას.

<sup>83</sup> ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია, თბილისი, 2017, გვ:112;

<sup>84</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაზარალებულს დიდი როლი არ მიანიჭა დაზარალებულს, განრიდების ნაწილში ნორმა აღნიშნავს, რომ მხოლოდ პროკურორთან კონსულტაციის გავლის უფლება აქვს, დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად და რომელსაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული<sup>85</sup>. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეზღუდა დაზარალებულის უფლებები და დღესდღეობით დაზარალებულის სტატუსი დაყვანილია მოწმის სტატუსის დონემდე, თუმცა მოწმესთან შედარებით მას გააჩნია გარკვეული უპირატესობები. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

აღსანიშნავია ის გარეობა, რომ პრობლემურია კონკრეტული დაზარალებულის არყოფნის შემთხვევაში კლასიკური მედიაციის განხორციელება. კლასიკური მედიაციის დროს ხდება დაზარალებულის მიერ შიშების დაძლევა, რომელიც დანაშაულის შედეგად გაუჩნდა, რაც იურიდიული პირების შემთხვევაში წარმოუდგენელია.<sup>86</sup> გარდა ამისა, მედიაცია კარგავს ინდივიდუალობას, რადგან იურიდიული ფირმის წარმომადგენლისათვის აზრი არ აქვს დამნაშავეს მხრიდან ბოდიშის მოხდას და მასთან (კონკრეტულად ფირმის წარმომადგენელთან) შერიგებაზე საუბარს. უფრო პრობლემურია მედიაციის განხორციელება საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დროს. ასეთ შემთხვევაში პრაქტიკა არ ცნობს „საზოგადოების“ დაზარალებულად აღიარების ინსტიტუტს, რაც თავისთავად გამორიცხავს მედიაციას. იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით. დანაშაულის

<sup>85</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

<sup>86</sup> Kaspar, J., *Juveniles Diversion and Mediation*, 2004. S. 107;

მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი<sup>87</sup>.

თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს ეს დადგენილება. განრიდების პროცესში დაზარალებულის ჩართულობა გამოიხატება იმაში, რომ პროკურორი განრიდების პროცესის დაწყებამდე კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, ამ უკანასკნელთან მხოლოდ კონსულტაციით შემოიფარგლება პროკურორი. დაზარალებულს განემარტება განრიდების არსი, მისი ეფექტურობა, სავარაუდო პირობები და შესაბამის წერილობით ოქმში ფიქსირდება დაზარალებულის პოზიცია განრიდების სუბიექტის მიმართ განრიდების გამოყენება ან არ გამოყენების შესახებ. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულის პოზიცია განრიდების პროცესში გადამწყვეტი არ არის და პროკურორს შეუძლია არ გაითვალისწინოს დაზარალებულის უარყოფითი პოზიცია განრიდებისადმი, რაც შესაძლოა უსამართლობის განცდას ტოვებდეს, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი დაზარალებულს უფრო მეტად უნდა ჰქონდეს პროცესუალური უფლება, ამასთან დაკავშირებით უკეთესი იქნებოდა საკანონმდებლო რეგულაცია ყოფილიყო მიღებული. პროკურორს შეუძლია იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესით და გამოიყენოს პირის მიმართ განრიდების ინსტიტუტი. ამ შემთხვევაში დაზარალებულს რჩება მხოლოდ ერთადერთი მექანიზმი, კერძოდ განრიდების პროცესის დასრულების შემდეგ პროკურორის მიერ გამოტანილი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ზემდგომ პროკურორთან ერთჯერადად გასაჩივრება. ამავდროულად ხაზგაგასმელია ის გარემოებაც, რომ პროკურატურისთვის უმნიშვნელოვანესია, დაზარალებული იყოს კმაყოფილი და მას არ დასჭირდეს სასამართლოში სამოქალაქო წესით დავა. აღსანიშნავია, რომ განრიდების გამოყენებისას პროკურორი არ გამოდის მხოლოდ ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე. ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს და მოტივირებულია იმ ზიანის აღდგენის კუთხით, რაც

---

<sup>87</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016, გვ.7;

კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს მიადგა. ეს ლოგიკურიცაა, რადგანაც აქცენტი უნდა გაკეთდეს არამხოლოდ ლმობიერი გამოსავლის ძებნაში იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ იმ პირის ინტერესების დაცვაში, რომლის სამართლებრივ სიკეთესაც მიადგა ზიანი.

დღესდღეობით დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად იმ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დაზარალებულის უფლებები მაქსიმალურად აღდგენილი არაა და ზიანი ანაზღაურებული არ არის, არ ხდება განრიდების გამოყენება იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც დაზარალებულის პოზიცია ამკარა წინააღმდეგობაში მოდის საჯარო ინტერესთან, ან როდესაც განრიდების პირობაში ჩადებულია მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში მითითებულია, რომ პროკურორი დაზარალებულთან ურთიერთობისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს, რათა თავიდან აიცილოს მისი მეორადი ვიქტიმირება, გაღიზიანება და უკმაყოფილება<sup>88</sup>. სახელმწიფომ აღნიშნული ჩანაწერით ხაზი გაუსვა დაზარალებულის მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში. დაზარალებულის დაცვის განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე, 2001 წლის 15 მარტის №2001/220/HA ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ<sup>89</sup>. დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით ქართველი ავტორები მნიშვნელოვნად და კარგ მასალად მიიჩნევენ ევროკავშირის გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებში დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მიღწეულ შეთანხმებას და დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას.<sup>90</sup>

სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ადვოკატს, რადგან არასრულწლოვანთა საქმეებთან მიმართებაში თითქმის ყოველ შემთხვევაში

<sup>88</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

<sup>89</sup> დაწვ.2001 წლის 15 მარტის №2001/220/HA ევროკავშირის სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ;

<sup>90</sup> გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., წიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, 2012. გვ. 151;

ადვოკატი ფიგურირებს და ის იცავ არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებებს. ბრალდებულს აქვს უფლება ადვოკატის არჩევის და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება. ზოგადად განრიდების პროცესში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო არ არის, განსხვავებით საპროცესო შეთანხმებისაგან, რა დროსაც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა ჯერ კიდევ საპროცესო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებისას და შემდეგ მთელი პროცესის განმავლობაში. განრიდების პროცესში დამცველის მონაწილეობა სავალდებულო არ არის, გამომდინარეობს კანონმდებლის მიზნიდან და თვითონ განრიდების ინსტიტუტის ეფექტურობიდან. კერძოდ, თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი პროცედურები და ბრალდებულის ხარჯები, თუმცა შეიძლება ადვოკატის ყოლის სავალდებულო ხასიათი იქნეს კანონით განტკიცებული განრიდების გაფორმების დროს, რადგან სრულიად შესაძლებელია არასრულწლოვანი, რომელიც განრიდების პოტენციური სუბიექტია, ყველაფერზე დათანხმდეს, რათა მას პასუხისმგებლობა არ დაეკისროს, იმისდამიუხედავად, რომ პროკურორი ბრალდებულს აუხსნის განრიდების შინაარსს, პირობებს და ა.შ. ინტერესების დამცველის მიერ ახსნის მეთოდი უკეთესი იქნება, რადგან საადვოკატო საქმიანობა პირდაპირ ნიშნავს ინტერესების დაცვას. განრიდების დროს საადვოკატო მომსახურების არასავალდებულობა ამტკიცებს განრიდების ინსტიტუტის მოქნილობას და სიმარტივეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ან განრიდების სუბიექტს ჰყავს ადვოკატი, იგი აუცილებლად იღებს მონაწილეობას განრიდების პროცესში და პირს უწევს სათანადო, კანონით გათვალისწინებულ მომსახურებას. არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას სრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით, ცხოვრებისეული გამოუცდლობის გამო, არ შეუძლია სათანადოდ საკუთარი თავის დაცვა.<sup>91</sup>

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანებით, რომელიც ეხება განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლსა

---

<sup>91</sup> Streng, F ., Juveniles Diversion and Mediation problems, 2008. S. 72;

და საქმიანობის წესს. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სოციალური მუშაკი არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით“<sup>92</sup>. სოციალური მუშაკი პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ მას შემდეგ ჩაერთვება განრიდების პროგრამაში, როცა პროკურორი პრობაციის ბიუროს უფროსს წერილობით აცნობებს არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე და გადაუგზავნის კანონით დადგენილ შესაბამის დოკუმენტაციას.

სოციალური მუშაკი ახდენს არასრულწლოვნის პირველად ბიო-ფსიქო სოციალურ შეფასებას, იძლევა დასკვნას და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების შემუშავებას პროკურორთან შეხვედრიდან 5 დღის ვადაში, ხოლო სრული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნას – 2 კვირის ვადაში. პროკურორი სწორედ სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით ადგენს არასრულწლოვნისათვის განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობებს.

აღნიშნული დასკვნის მოსამზადებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს და მისი ოჯახის წევრებს. გარდა ზემოხსენებული დასკვნისა, სოციალური მუშაკი ასევე ახორციელებს არასრულწლოვნის მიერ განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს, რომელიც გრძელდება აღნიშნული ხელშეკრულების დასრულებამდე. მონიტორინგის საფუძველზე სოციალური მუშაკი პროკურორს თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ.

თუ არასრულწლოვანი ყოველგვარი ობიექტური მიზეზების გარეშე არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, სოციალური მუშაკი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს.

განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების დასრულებიდან 5 დღის ვადაში სოციალური მუშაკი პროკურორს წარუდგენს საბოლოო ანგარიშს. იმ შემთხვევაში, თუ ხდება არასრულწლოვნის ჩართვა მედიაციაში, ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე სუბიექტია მედიატორი. მედიატორი არის სათანადო

<sup>92</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №29, 2011 წლის 22 თებერვალი, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;

კვალიფიკაციის მქონე პირი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის. სწორედ მედიატორი წარმართავს და უწევს კოორდინაციას მედიაციის პროცესს. როგორც აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, მედიატორისათვის რომელიმე კონკრეტული პროფესიის ფლობა არ არის საჭირო, თუმცა „სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი“-ში მოიაზრება ისეთი ადამიანი, რომელიც პროფესიულ დონეზე ფლობს კონფლიქტის რეგულირების მეთოდებს და უნარ-ჩვევებს. მედიატორი არც ფსიქოლოგია, არც პედაგოგი და არც ადვოკატი, შესაბამისად, მედიაციის დროს ამ პროფესიებიდან მხოლოდ ერთ-ერთის ძირითად ნორმებზე ორიენტირება ადამიანს კარგ მედიატორად არ ჩამოაყალიბებს.<sup>93</sup> იურისტების ამ მიდგომას საკმაოდ საინტერესო არგუმენტებს უპირისპირებენ ფსიქოლოგები. მათი აზრით, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ფლობენ კომუნიკაციის და კონფლიქტის რეგულირების (მოგვარების) იმ ძირითად საფუძვლებს, რაც მედიატორისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს ცოდნა კი მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამიდან გამომდინარეობს. უდავოა, რომ მედიაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, მაგრამ ხშირად მედიაციის დროს აუცილებელია სამართლის ნორმების ცოდნა. მაგალითად, თუ მედიატორი მხარეს რაიმეს დაჰპირდება და აღმოჩნდება, რომ სამართლის ნორმები დაპირებულ საკითხს სხვაგვარად არეგულირებს, შეუძლებელი იქნება მედიატორის დაპირების შესრულება. შესაბამისად, მედიატორი დაკარგავს მონაწილის ნდობას, ეს კი გაართულებს მედიაციის პროცესს. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში უმჯობესი იქნება, მედიატორი იყოს არა მარტო კომუნიკაბელური პიროვნება, არამედ იმ სფეროში, რომელშიც იგი მედიაციას ახორციელებს, გააჩნდეს საკმარისი საკანონმდებლო ნორმების ცოდნა. მნიშვნელოვანი საკითხია მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. ის შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, თუ იგი ფინანსურად და ინსტიტუციურად რომელიმე მხარეს არ წარმოადგენს და საქმისადმი პირადი ინტერესი არ გააჩნია.<sup>94</sup>

„განრიდებისა და მედიაციის შესახებ მედიატორისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის

<sup>93</sup> Haft, F. , Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.), 2009. S. 268. 16;

<sup>94</sup> Zirn, V. , Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2007. S. 102;

საქმეთა მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №94 ბრძანების თანახმად, მედიატორსა და მხარეებს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული და/ან პროფესიული კავშირი. აღნიშნული ჩანაწერი პირდაპირ უკავშირდება მედიატორის მიკერძოების თავიდან აცილებას. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მედიატორისათვის მეტად ძნელია ნეიტრალურობის შენარჩუნება, რადგან მედიაციის პროცესიდან გამომდინარე, შესაძლებელია მედიატორს მოუწიოს, რომელიმე მხარეს უფრო მეტად ედგეს გვერდში (მაგ. დაზარალებულის დაყოლიებას მედიატორი უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოანდომებს, ვიდრე დამნაშავეს, შესაბამისად, იგი დაზარალებულის ინტერესების გამტარებელი უფრო იქნება ვიდრე დამნაშავეს), ამიტომ სასურველია მედიატორის „შედარებით ნეიტრალურობაზე“ საუბარი.<sup>95</sup>

ერთ-ერთი პირველი ქართველი მედიატორის - ნატა ზაზაშვილის პირადი ჩანაწერების მიხედვით: „მედიატორი ერთნაირად უნდა იყოს განწყობილი ორივე დაპირისპირებული მხარის მიმართ, არ უნდა ეძებოს მტყუანი და მართალი, არამედ იზრუნოს შესაბამის, კეთილგანწყობილ ატმოსფეროს შექმნაზე, რათა მხარეებს მიეცეთ საშუალება თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, ემოციები და მიაღწიონ შეთანხმებას“.<sup>96</sup> ამ მოსაზრების ავტორი ორიენტირებულია არა თავად მხარეებზე, არამედ მედიაციის პროცესში მათ მონაწილეობაზე და მედიაციის მიზანზე (მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა). ჩემი აზრით, აღნიშნული მიდგომა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს მედიატორის ობიექტურობას და ნეიტრალობას. მედიატორს უნდა ჰქონდეს აქტიური მოსმენის და მონათხრობის განმეორების უნარი, მას ასევე უნდა შეეძლოს იმოქმედოს რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რაც შეეხება განრიდების პროცესის ისეთ მონაწილეს, როგორცაა თარჯიმანი, მისი განრიდების პროცესში ჩართვის საჭიროება დღის წესრიგში დგება, როდესაც განრიდების სუბიექტმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. წესები, რომლებიც თარჯიმანს ეხება, იმ პირზედაც ვრცელდება, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. პროცესის სხვა მონაწილეს თარჯიმანის მოვალეობის შესრულების უფლება არა აქვს.

<sup>95</sup> იქვე 34;

<sup>96</sup> შალიკაშვილი მ., . არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, . თბილისი, 2013 . გვ. 61;

განრიდების გამოყენების წესი და პირობები საქართველოში ამოქმედებული განრიდების ინსტიტუტი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმაა. პირის განრიდება ნიშნავს, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ ხორციელდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ განრიდების სუბიექტმა შეასრულოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე პირობა: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე.

არის თუ არა განრიდების პირობა სასჯელის ერთ-ერთ სახეს? ამისათვის სჯობს პარალელი გავავლოთ განრიდების პირობებსა და სასჯელის სახეებს შორის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, “სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით”<sup>97</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ პირისათვის სასჯელის დანიშვნა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის წარმოადგენს სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებას. სასამართლოს გარდა არავინ არის უფლებამოსილი, პირი სცნოს დამნაშავედ და შეუფარდოს სასჯელი, რომელიც არის იძულებითი ღონისძიება და წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციას დანაშაულზე. რაც შეეხება განრიდების პირობას, იგი გარკვეულწილად სასჯელის მსგავსია, მაგრამ ამავედროულად, მისგან განსხვავდება. სასჯელის მსგავსად, განრიდების პირობაც გამოიყენება ბრალდებული პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ, მაგრამ თუ სასჯელის დანიშვნა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა და იგი იძულებით ღონისძიებას წარმოადგენს, განრიდების პირობის შესრულება არ არის იძულებითი და განრიდების სუბიექტი მას ნებაყოფლობით ასრულებს. სახელმწიფო ბრალმდებელს და განრიდების სუბიექტს შორის ხდება ორმხრივი

---

<sup>97</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 53 - ე მუხლი;

შეთანხმება განრიდების პირობაზე და განრიდების ოქმი ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განრიდების სუბიექტი თანახმაა<sup>98</sup>.

საქართველოს კანონმდებლობა განრიდების სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით, მათ შორის დაცვის უფლებით და მას გადაეცემა ბრალდებულის უფლება-მოვალეობათა ნუსხა. მას შეუძლია უარი თქვას მის მიმართ განრიდების გამოყენებაზე და მოითხოვოს საქმის სასამართლოში განხილვა. კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მხარეებს შორის გაფორმებულია განრიდების ოქმი და შემდეგ განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, ამ შემთხვევაში გაუქმდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება განრიდების შესახებ და პროკურორი სისხლისმართლებრივ დევნას პირის მიმართ წარმართავს ჩვეულებრივი წესით. ამიტომ ბუნებრივია, რომ პროკურორი განრიდების სუბიექტს ვერ დააკისრებს ისეთ პირობას, რომელზედაც განრიდების სუბიექტი არ იქნება თანახმა და არ გამოხატავს ნებას მის შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, ზემოთ დასმულ შეკითხვაზე შეგვიძლია თამამად ვუპასუხოთ, რომ განრიდების პირობა არ წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ სახეს, თუმცა გარკვეული მსგავსებაა სასჯელის კონკრეტულ სახეებსა და განრიდების პირობებს შორის. მაგალითად:

- ჯარიმა
- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება;
- ქონების ჩამორთმევა და უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა.

მოცემული პირობები შინაარსობრივად მსგავსია და ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: ჯარიმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდის დროს ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე გარკვეული თანხის შეტანა, თუმცა მიუხედავად მსგავსი შინაარსისა, მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებაა. კერძოდ, სასჯელი არის იძულებითი ღონისძიება და მას აკისრებს

<sup>98</sup> თათარაშვილი თ. განრიდება როგორც სისხლისმართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, სტუ, თბილისი, 2014 გვ.24;

სასამართლო, ხოლო განრიდების პირობის დაკისრება ხდება პროკურორის მიერ შედგენილი განრიდების ოქმის საფუძველზე, რაც აუცილებლად საჭიროებს პირის თანხმობას და მისი შესრულება არის ნებაყოფლობითი<sup>99</sup>.

როგორც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, ისე განრიდების გამოყენებისას, პირი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, მისი ნებიდან გამომდინარე ირჩევს იმ გზას, რომელიც მისთვის მისაღებია და გამომდინარეობს მისსავე ინტერესებიდან. ამასთანავე, პირს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს საქმის არსებითი განხილვა და დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. განრიდების ოქმით შესაძლებელია განრიდების სუბიექტს დაეკისროს უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება. განრიდების პირობის სახით განრიდების სუბიექტს შესაძლებელია დაეკისროს მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ანუ პირმა უნდა აანაზღაუროს დაზარალებულისათვის მისი ქმედებით გამოწვეული ზარალი, სამოქალაქო წესით.

განრიდების პირობებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა და საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება. განრიდების ყველაზე მარტივი პროცესია ფულადი თანხის გადახდა. განრიდების სუბიექტი სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის ფულად თანხას და ამით ასრულებს განრიდების ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ პირობას.

თითოეული პირი, რომელიც იქნება არასრულწლოვანთა განრიდებაში აუცილებელია, რომ ფლობდეს არასრულწლოვნებთან მიდგომის შესაბამის მეთოდს, რათა მათ უკეთ იცოდნენ როგორ ესაუბრონ, როგორ მოექცნენ, როგორ დაეხმარონ და ა.შ არასრულწლოვნებს. პეკინის წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს ნორმატიულ დონეზე მოახდინონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიცირება - რათა მათ გაიარონ ბავშვებთან მუშაობის სპეციალური და რეგულარული ტრენინგები და მხოლოდ მათ აწარმოონ ბავშვთა გამოკითხვა/დაკითხვა<sup>100</sup>.

<sup>99</sup> თათარაშვილი თ. განრიდება როგორც სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, სტუ, თბილისი, 2014.გვ.28;

<sup>100</sup> პეკინის წესები, 12 წესი;

### 3.2 განრიდების ხელშეკრულება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №216 განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე მეორე თავის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად „განრიდების ხელშეკრულება - სამოქალაქო ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს“.<sup>101</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 47 - ე მუხლის მიხედვით: „თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამომიების შეწყვეტის თაობაზე“. მოცემული დათქმა მიუთითებს არასრულწლოვანის კეთილსინდისიერებაზე, რათა მან შეასრულოს განრიდების პირობები, რომლებიც შეიძლება იყოს დამავალდებულებელი ან ამკრძალველი. ამავე კოდექსის 48 - ე მუხლი მიუთითებს იმ შემთხვევაზე, როდესაც არასრულწლოვანი არაკეთილსინდისიერად იქცევა და იგი არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, ამ შემთხვევაში პროკურორს აცნობებს სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის განრიდების პირობების შეუსრულებლობაზე და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

<sup>101</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ განრიდების ღონისძიების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინება<sup>102</sup>.

2017 წელს არასრულწლოვნებში განრიდების ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები დაფიქსირდა, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 9%-ს წარმოადგენს, - ამის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის რიგით მეოთხე ანგარიშშია საუბარი, სადაც სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების მაჩვენებლებია მოყვანილი<sup>103</sup>.

საინტერესოა ის, რომ განრიდების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სოციალური მუშაკი. მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად ხელშეკრულების დასრულებამდე. თუ საჭიროა სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს ახდენს უფრო ინტენსიურად. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვნის სურვილი აქვს, შესაძლოა, მონიტორინგს დაესწროს მისი კანონიერი წარმომადგენელი. მონიტორინგის განსახორციელებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს მინიმუმ თვეში ერთხელ, რადგან ორივემ ერთად შეაფასოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა.<sup>104</sup>

სწორედ სოციალურ მუშაკთან შეხვედრის დროს ხდება იმ მიღწეული შედეგების განხილვა და გაანალიზება, რაც მოჰყვა განრიდების ხელშეკრულებას, თუ არასრულწლოვანი არ ასრულებს ხელშეკრულებას, არასრულწლოვანი და სოციალური მუშაკი ერთად განიხილავენ ხელის შემშლელ ფაქტორებს, თუ ხელის შემშლელი ფაქტორები არასრულწლოვანს არ გააჩნია სოციალური მუშაკი ამას ატყობინებს პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს. აღსანიშნავია ასევე ის, რომ განრიდების ხელშეკრულება ატარებს ზოგად ხასიათს და პროკურორი, ყველა არასრულწლოვნის მიმართ ერთი და იგივე ტექტი და შინაარსი მოქმედებს,

<sup>102</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 47,48 მუხლები;

<sup>103</sup> საქართველოს მთავარი პროკურატური ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი;

<sup>104</sup> შალიკაშვილი, მ. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბ., 2013. გვ. 69;

პროკურორი არ ითვალისწინებს იმ ინდივიდუალურ მონაცემებს, რომელიც არასრულწლოვანს აქვს.<sup>105</sup>

აღსანიშნავია ის, რომ 18 წელს მიღწევა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს<sup>106</sup>.

განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაა. 2017 წელს განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 36 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 7.5%-ს წარმოადგენს. 36 შემთხვევიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილ იქნა 13 შემთხვევაში (ცამეტივე შემთხვევაში შეწყდა განრიდების პროცესი), ხოლო 23 შემთხვევაში არ შესრულდა განრიდების ხელშეკრულების პირობები (3 არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესი შეწყდა, ხოლო 20 არასრულწლოვანს გაუგრძელდა განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების განმეორებითი დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა). 2017 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ დათვლილი იქნა 2010-2016 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. შედეგების მიხედვით, განმეორებითი დანაშაული ზემოაღნიშნულ პერიოდში განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 9%-მა ჩაიდინა. კერძოდ, ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან პირველივე წელს დანაშაული ჩაიდინა 85-მა არასრულწლოვანმა (5.6%), მეორე წელს დანაშაული ჩაიდინა 34-მა არასრულწლოვანმა (2.3%), ხოლო მესამე წელს დანაშაული ჩაიდინა 15-მა არასრულწლოვანმა (1%).<sup>107</sup>

<sup>105</sup> ქუთათელაძე მ., „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, თბილისი, 2017, გვ.148;

<sup>106</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანება N384;

<sup>107</sup> საქართველოს მთავარი პროკურატური ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი;

## დასკვნა

საქართველოსთვის იმისდამიუხედავად, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო ფაქტობრივად ახლა ყალიბდება და დიდი ხანი არც არის, რაც ქართული მართლმსაჯულების სივრცეში ფეხს იკიდებს, შეიძლება დადებითად შეფასდეს, თუმცა დიდ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხებისა რომლებიც მოგვარებას საჭიროებს. განსაკუთრებით დასახვეწია ცალკეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც პრაქტიკას არ მისცემს ორაზროვანი და არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას, ასევე ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის უფრო მეტ პროდუქტიულობა და ეს ყველაფერი განმტკიცებული უნდა იქნეს კანონმდებლობით, დაზარალებულის უფრო მეტად ჩართულობა არასრულწლოვნის განრიდების პროცესში, პროკურორის დისკრეციის გადახედვა არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების დროს, თუმცა, დასკვნის სახით შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ სფეროში არსებულ საკმაოდ დიდ და საინტერესო მიღწევებზე, რომელიც ძალიან მოკლე დროში იქნა მიღწეული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეს არის სფერო, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახლა იქმნება და ყალიბდება, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების მცირე პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევა ნამდვილად არსებობს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მუდმივი ინტერესისი არსებობს, თავად პიროვნების არასრულწლოვნობის გამო, რადგან არასრულწლოვანი შედარებით მსუბუქად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე სრულწლოვანი, XIII – ე საუკუნის ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსშიც კი ნათქვამი იყო, რომ თუ სრულწლოვანს ქურდობისთვის ორივე ხელს აჭრიდნენ, ბავშვს მხოლოდ ერთ ხელს აჭრიდნენ<sup>108</sup>, რა თქმა უნდა ეს ორივე სასჯელი არაჰუმანურია და დღევანდელი რეალობისთვის შეუსაბამო, თუმცა ძველ დროშიც ნათლად ჩანს, რომ ბავშვი შედარებით მსუბუქად ისჯებოდა ვიდრე სრულწლოვანი.

<sup>108</sup> კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, სამართალი და მსოფლიო, თბილისი, 2016, გვ.201;

მართლმსაჯულების კოდექსს სრულიად სამართლიანად „რევოლუციურ პროექტსაც“ უწოდებდნენ ქართულ სამართლებრივ სივრცეში და სრულიად სამართლიანადაც<sup>109</sup>.

ბავშვის უფლებების დაცვა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სწორი ფორმირება მთავარი საფუძველია მომავალი თაობის სწორი აღზრდისთვის და სწორი ფორმირებისთვის<sup>110</sup>, რადგან სწორედ ბავშვები, რომლებიც სწორად გაიზრდებიან, ასევე სწორად და კანონიერად წარმართავენ საკუთარ ცხოვრებას, ამ ყველაფერში კი არასრულწლოვნებს სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება, სასჯელი უნდა ემსახურობდეს გამოსწორებას და არა უარეს კრიმინალად ქცევას.

კოდექსი რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ეხება რა თქმა უნდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას აყალიბებს ინსტიტუციონალურად, თუმცა უკეთესი იქნება თუ შეიქმნება ცალკე არასრულწლოვანთა საგამომიებო სტრუქტურა და არასრულწლოვანთა სასამართლო, როგორც ეს საფრანგეთშია. საფრანგეთში არასრულწლოვანთა სასამართლო სპეციალიზებული სასამართლოს ერთ-ერთი სახეა, ამ სასამართლოში მოსამართლეები შესაბამისად არიან სპეციალიზებული, არასრულწლოვანთა საქმეებს განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალები და არასრულწლოვანთა ასიზების სასამართლო<sup>111</sup>.

საბოლოო ჯამში განრიდების ინსტიტუტის შემოღება და ფუნქციონირება მნიშვნელოვან და კარგ სიახლედ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან არასრულწლოვანთა განრიდება „ერთი შანსის“ შესაძლებლობას იძლევა, რაც მოზარდებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ, დაიცვან და გაუფრთხილდნენ, როცა სახელმწიფო ასე იცავს მათ ინტერესებს და განვითარებას.

---

<sup>109</sup> ჩხეიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები;

<sup>110</sup> იქვე;

<sup>111</sup> გუცენკო. ფ.კ, გოლოვკო ლ.ვ, ფილიმინოვი ბ.ა, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ.381;

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. ქუთათელაძე მ., „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“, თბილისი, 2017;
2. ქუთათელაძე., „მართლმსაჯულება და კანონი 1(49), თბილისი, 2017;
3. ცერცვაძე გ., „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი, 2013;
4. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილ გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადემჭელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)“, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015;
5. ვ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმინოვი, „დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007;
6. შალიკაშვილი მ., „კრიმინოლოგია, (მეორე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა)“, თბილისი, 2011;
7. ტურავა მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
8. შალიკაშვილი მ., „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013;
9. კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზღრდის სამართალი?!, სამართალი და მსოფლიო, თბილისი, 2016;
10. ჩხეიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები;

11. მეურმიშვილი ბ., „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე)“, თბილისი, 2014,
12. მეფარიშვილი გ, ჩხეიძე ი, „დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2011;
13. ბაღდავაძე გ., სულაძე ი., „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, თბილისი, 2012;
14. თათარაშვილი თ., „განრიდება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა“, სტუ, თბილისი, 2014;
- 15 „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები)“, საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016;
16. მართლმსაჯულება და კანონი #4(52), რედ: ნინო ძიძიგური, თბილისი, 2013;
17. გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., წიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია“, თბილისი, 2012;
18. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე;
19. საქართველოს მთავარი პროკურატური ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი;
20. განრიდების პროგრამა: პირველი ნაბიჯი, 2011 წლის 18 მაისს გამოქვეყნებული სტატია გაზეთ ტაბულაში (<http://www.tabula.ge/ge/story/54673-ganridebis-programa-pirveli-nabiji>);
21. Institute of Medicine and National Research Council, „Juvenile Crime, Juvenile Justice“, DC: The National Academies Press, Washington, 2001;
22. Streng, F ., „Juveniles Diversion and Mediation problems“, 2008;
23. Kaspar, J ., „Juveniles Diversion and Mediation“ 2004;
24. Haft, F. , „Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg)“, 2009;
25. Zirn, V. , „Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren“, 2007;

26. Hungerford-Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998;

27. Beccaria C., „On Crimes and Punishments”, New-York, 2013;

## სამართლებრივი აქტები

### საქართველოს სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 25 აგვისტო;
2. 2015 წლის 12 ივნისის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
3. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
5. საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი;
6. საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
7. საქართველო 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონი პროკურატურის შესახებ;
8. იუსტიციის მინისტრის №181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“;
9. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №2 9 2011 წლის 22 თებერვალი, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;
10. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო

მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

11. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181 2010 წლის 8 ოქტომბერი სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ;

12. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №235 2012 წლის 22 მარტი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;

13. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე;

14. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა და მისი განხორციელების წესი;

### **საერთაშორისო სამართლებრივი აქტები**

1. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1948 წლის 10 დეკემბერი;
2. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
3. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი);
4. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი“, 1966 წლის 16 დეკემბერი;
5. ევროკავშირის სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის სტატუსის შესახებ 2001 წლის 15 მარტი;

6. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ“ (პეკინის წესები) 1984 წლის 25 მაისი;
7. ევროპული ციხის წესები, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, 2006 წლის 11 იანვარი;
8. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია, 1995;
9. გაეროს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2009;

### ელექტრონული წყარო

1. <https://1tv.ge/video/ganridebis-programis-statistika-saqartveloshi/> განრიდების პროგრამის სტატისტიკა საქართველოში 1tv.ge
2. [http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2016.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2016.pdf)
3. [http://pog.gov.ge/geo/projects/current?info\\_id=86](http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=86)
4. <http://prevention.gov.ge/page/28/geo>
5. <https://mimomxilveli.wordpress.com/2012/09/03/> განრიდება-არასრულწლოვნი/
6. <https://www.radiotavisupleba.ge/a/24448799.html>
7. [http://unicef.ge/arasrultslovanta\\_martlmsajuleba/72](http://unicef.ge/arasrultslovanta_martlmsajuleba/72)
8. <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=3562>

## შემოკლებული აბრევიატურა

1. ა.შ. - ასე შემდეგ
2. ავტ. - ავტორი
3. გვ. - გვერდი
4. ე.ი - ესე იგი
5. ე.წ - ეგრეთ წოდებული
6. იხ. - იხილეთ
7. მაგ. - მაგალითად
8. სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი